ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 22 თებერვალი, 2022 | №37 (8815) | ფასი: 60 თეთრი

„ვიდეომასალაში აღბეჭდილი არც ერთი პირი არ არის ბერად აღკვეცილი“

საპატრიარქოს განცხადება





ნინო ლომჯარია: „ეუთო/ოდირი მოითხოვს, რომ სახელმწიფო ინსპექტორთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებები შეჩერდეს“

# „მე ვერ ვიტყვი, რომ მელიამ თავი ამოწურა, თუ გადაღლილია, თავად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება“



ნონა მამულაშვილი: „მხოლოდ დაპიპინება არ ყოფნის მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლებას“





ზაალ ანჯაფარიძე: „ღარიბაშვილი პირველი პრემიერია, რომელიც არ ერიდება დასავლელი პარტნიორების წინაშე საქართველოს პოზიციის დაფიქსირებას“

„ის წითელ ხაზს ავლებს იქ, სადაც იწყება ქვეყნის სუვერენიტეტი“

## „როგორ უნდა დაეხმაროს საქართველო უკრაინას რეალურად და არა რაღაცა ბაქიბუქობით?“

თორნიკე შარაშენიძე: „იმის ძახილი, რომ ივანიშვილის უკან დგას რუსეთი, ეს ხალხს ძალიან მობეზრდა“





## „რუსთავის მერმა მოხუცთა თავშესაფარში ტკბილეული არ მიგვატანინა“



მამუკა ტუსკაძე: „ნინო ლაცაბიძე და მამამისი წლების წინ ნაცმოძრაობის წევრები იყვნენ, ახლა „ოცნებაა“

## „ივანიშვილმა გადაწყვიტა, ოპოზიციის ცენტრალური ფიგურა ბადრი ჯაფარიძე იყოს“

მირიან მირიანაშვილი: „ამერიკელები კელი დეგნანის თაობაზე რუსებთან დათმობაზე არ წასულან“

## „მარტო სააკაშვილი ბიძინა ივანიშვილს ვერ დაამარცხებს“



მურმან დუმბაძე: „ეს ხელისუფლება მაშფოთებს, უკან არ დაიხევს, რომ მისი უფროსი რუსეთი იყოს“

ISSN 1987-9385

5 ნაზი ჯანეზაშვილი: „მოსამართლე 2 ძირითად კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს“

5 ცხელი ხაჭაპურის რიგში დაღლილმა პოლიციელმა 3 ახალგაზრდას სცემა და ესროლა

5 თბილისში დაკარგული ირაკლი ტეფნაძე გარდაცვლილი იპოვეს

6 დონეცკიდან და ლუგანსკიდან რუსეთში 61.000 დევნილი გადავიდა

# „მე ვერ ვიტყვი, რომ მელიამ თავი ამოწურა, თუ გადაღლილია, თავად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება“

## ნონა მამულაშვილი: „მხოლოდ დაპიპინება არ ყოფნის მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლებას“

იაგო ნაცვლიშვილი

რამდენად გამართლებულია მიხეილ სააკაშვილის მიერ გამოცხადებული რიგით მეორე შიმშილობა? ხომ არ არის შესაცვლელი პოლიტიკა ოპოზიციის მხრიდან? და არის თუ არა ერთიანი სააკაშვილის საკითხში ნაციონალური მოძრაობა? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პარტიის ერთ-ერთი ლიდერი **ნონა მამულაშვილი** საუბრობს.

***– მესამე პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ გამოაცხადა უვადო შიმშილობა. რა შეფასებას გააკეთებდით ამასთან დაკავშირებით? რატომ მიდის მსხვერპლზე სააკაშვილი?***

– ეს არის ტრაგიკული სიტუაცია, რაც ჩვენ ქვეყანას სჭირს. მაშინ, როდესაც „ქართული ოცნება“ ყველაფერს აკეთებს რუსული ინსტრუქციის შესაბამისად, რომ მიხეილ სააკაშვილი მოსპოს და პარალელურად ვხედავთ, რომ პროცესებიც შენელებულია ქვეყანაში. მე ვფიქრობ, სააკაშვილმა გადადგა ეს ნაბიჯი და გადაწყვიტა, საკუთარი სიცოცხლე რისკის ქვეშ დააყენოს, რომ როგორმე ეს პროცესები წინ წაიყვანოს. მიუხედავად იმისა, რომ მე არ ვეთანხმები მის ამ გადაწყვეტილებას, მესმის, რატომაც გააკეთა მან ეს. მე ვფიქრობ, რეალურად ძალიან დიდი ტრაგედიაა ჩვენი ქვეყნის ის, რაც დღეს ხდება.

***– წმინდა იდეალისტურ საკითხებს თავი რომ დავანებოთ და პრაგმატული პოლიტიკით რომ შევხედოთ, რამდენად სწორია ეს იმ ვითარებაში, როცა დავინახეთ წინა შიმშილობის დროს, რომ „ოცნებაზე“ ასეთ ნაბიჯებს არანაირი გავლენა არ აქვს?***

– „ქართულ ოცნებაზე“ ამას ჰქონდა გავლენა და ჩვენ ვნახეთ მაშინ, როდესაც სრულიად გამოუვალი ვითარებაში იყო, იმ პირობების დაკმაყოფილება მოუწიათ, რაც იმ მომენტში ჰქონდა მიხეილ სააკაშვილს. ამჯერადაც იმ ყურადღებას მოიპოვებს, რის შენელებასა და დავიწყებასაც ცდილობს „ქართული ოცნება“ საზოგადოებისთვის. მხედველობაში მაქვს ის, რომ მიხეილ სააკაშვილი დღეს საქართველოშია და ამისთანა მდგომარეობაშია. ამიტომ, ვფიქრობ, კვლავ შემოაბრუნებს ამ საკითხის მიმართ ყურადღებას, მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ფრონტი გადავსებულია უკრაინაში მიმდინარე პროცესებით.



მნიშვნელოვანია, სააკაშვილი, რომელიც მსოფლიომ პოლიტპატიმრად აღიარა, იყოს ყურადღების ცენტრში, რადგან ის არის პუტინის ნომერ პირველი მტერი. დღეს ეს პოლიტიკური პატიმარი რუსული ინსტრუქციების მიხედვით სრულ იზოლაციაშია და მისი უფლებები სრულად ილახება. ამიტომ ვფიქრობ, რომ მისი ნაბიჯი, სიმძიმის მიუხედავად, შედეგს მოიტანს. იმედი მაქვს, რომ ეს არ იქნება ტრაგიკული შედეგი. იმიტომ, რომ მიხეილ სააკაშვილს გამოუვალი მდგომარეობა აქვს დღეს და ერთადერთი ეს არის, რითაც შეუძლია გააცოცხლოს პროცესი და კვლავ მიიპყროს საქართველომ დასავლეთის ყურადღება.

***– ხომ არ ფიქრობთ, რომ გარკვეულწილად პოლიტიკის შეცვლაა საჭირო და სააკაშვილის ეს ნაბიჯი პოლიტიკის შეცვლას აუცილებელს ხდის?***

– რა თქმა უნდა. პოლიტიკის შეცვლა საჭირო რომ არ ყოფილიყო, მაშინ სააკაშვილი მაგ ნაბიჯზე არ წავიდოდა და დაელოდებოდა, რომ პროცესები თავისით განვითარდებოდა.

***– დავაზუსტებ ჩემს კითხვას, ამ შემთხვევაში ოპოზიციის ნაბიჯებს ვგულისხმობ.***

– დიახ, ვიცი, რასაც გულისხმობთ და მეც ოპოზიციაზე გპასუხობთ.

***– რა ნაბიჯებია გადასადგმელი?***

– პროცესები უნდა გაცოცხლდეს და მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლება უნდა იყოს პრინციპული და უმთავრესი საკითხი. მხოლოდ „დაპიპინება“ არ ყოფნის მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლებას. მესმის, რომ ეს პროტესტის ერთ-ერთი გამოხატვის საშუალებაა, მაგრამ როდესაც საქმე გაქვს ავტორიტარულ რეჟიმთან და ხედავ, რომ აბსოლუტურად არაფრად არ გაგდებს, ამ საქმეს არ შველის სიგნალები. ამას სჭირდება ბევრად უფრო მობილიზებული და გაერთიანებული მოქმედება ყველა დანარჩენ პარტიასთან, ვისთანაც ვხედავთ ხოლმე, რომ გვაქვს რაღაცა გაერთიანების საშუალებები. ეს გაერთიანება უნდა მოხდეს მიხეილ სააკაშვილის გარშემო.

***– არის დღეს ნაციონალური მოძრაობა ერთიანი ამ საკითხში?***

– მე არ ვიცი, არის თუ არა ერთიანი ნაციონალური მოძრაობა. ჩემთვის პრინციპულ საკითხად რჩება ის, რომ მიხეილ სააკაშვილის საკითხი უნდა იყოს ნომერ პირველი საკითხი პარტიისთვის.

***– დღეს ეს ასე არ არის?***

– მოქმედებებით თუ ვიმსჯელებთ, ეს ასე არ არის.

***– ალბათ დამეთანხმებით, რომ დღეს პოლიტიკური პროცესები ვერ არის აქტიური ქვეყანაში. ერთგვარი გაელვებები არის ხოლმე, მაგრამ მთლიანობაში ცოტა ჩამკვდარია პროცესი, რატომ?***

– არის ჩამკვდარი და ამ პროცესებს გაცოცხლება სჭირდება. იმისათვის, რომ გაცოცხლდეს, ამას სჭირდება ახალი ხედვა, ახალი სისხლი და ახალი ადამიანები, ვინც არ არის დაღლილი ამ პროცესებით. ახალი ადამიანები, ვისაც აქვთ იმის ხედვა, რომ სააკაშვილი უნდა დაიხსნან. იმიტომ, რომ ეს არის პრინციპული საკითხი და ეს არის პუტინის ნომერ პირველი დავალება, რომ საქართველოში სააკაშვილი ციხეში იყოს ამისთანა სახით და მის სიცოცხლეს მაქსიმალური რისკი შეუქმნან. რასაც აკეთებს კიდეც „ქართული ოცნება“ და, სამწუხაროდ, ვერაფერ საპირისპიროს ვერ აკეთებს ოპოზიცია.

***– ხომ არ ფიქრობთ, რომ ნიკა მელიამ რაღაც თვალსაზრისით ამოწურა თავისი თავი?***

– ამას მე ვერ გეტყვით. თუ მელიამ ამოწურა თავისი თავი, ეს თავად უნდა გადაწყვიტოს. მე ვერ შევაფასებ მის შესაძლებლობებს და ენერგიას. ამ ეტაპისთვის აგრძელებს ბრძოლას. თუ ის გადაღლილია, მაშინ თავად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. ის პარტიის ლიდერია და სანამ ის თვლის, რომ პარტიის ლიდერია, მე მას მხარს დავუჭერ.

***– თვლით, რომ ქუჩა გასააქტიურებელია?***

– ქუჩაც გასააქტიურებელია, საერთაშორისო პარტნიორებიც გასააქტიურებლები არიან და ზოგადად სალაპარაკოა, რომ მაშინ, როდესაც დასავლეთი უკრაინას უდგას მხარში და ყველაფერს აკეთებს რუსეთის აგრესიის შესაჩერებლად, საქართველო საერთოდ წაშლილია ამ მოლაპარაკებებიდან.

***– გახარიას პარტიასთან თანამშრომლობამ აზრთა სხვადასხვაობა გააჩინა თქვენ მხარდამჭერებში. მესმის, რომ რეალურად სხვა ალტერნატივა არც არსებობდა, მაგრამ სოციალურ ქსელებში ბევრია უკმაყოფილო და იხსენებენ 20 ივნისს. თქვენ რა პოზიცია გაქვთ?***

– იცით რა არის? მედიცინაში ზოგჯერ გველის შხამს წამლად იყენებენ. ასე რომ, არის შემთხვევები, როდესაც, სამწუხაროდ, ისეთი ნაბიჯების გადადგმა გვიწევს, რაც პოპულარული არ არის, მაგრამ როგორც თქვენ თქვით საუბრის დასაწყისში, პრაგმატული ნაბიჯები უნდა გადავდგათ და, სავარაუდოდ, პრაგმატული პოლიტიკის გამო გადაიდგა ეს ნაბიჯიც.

# ზაალ ანჯაფარიძე: „ღარიბაშვილი პირველი პრემიერია, რომელიც არ ერიდება დასავლელი პარტნიორების წინაშე საქართველოს პოზიციის დაფიქსირებას“

## „ის წითელ ხაზს ავლებს იქ, სადაც იწყება ქვეყნის სუვერენიტეტი“

ირაკლი ღარიბაშვილს მთავრობის ჩაბარება 2021 წლის თებერვალში კრიზისულ მომენტში მოუწია. მას შემდეგ ერთი წელი გავიდა: რა შეიცვალა ირაკლი ღარიბაშვილის ერთი წლის პრემიერობის შემდეგ ქვეყანაში, რა ინიციატივები განხორციელდა და როგორ გაუმკლავდა მწვავე ეკონომიკურ კრიზისსა და პანდემიას – ამ თემებზე ექსპერტმა **ზაალ ანჯაფარიძემ** „ახალ თაობასთან“ ისაუბრა.

***– როგორც ჩვენთვის ცნობილია, ირაკლი ღარიბაშვილს მთავრობის ჩაბარება კრიზისულ მომენტში მოუწია, როგორ ფიქრობთ, პრემიერმა საქართველოში შეინარჩუნა პოლიტიკური სტაბილურობა და გაუმკლავდა იმ გამოწვევებს, რაც ქვეყანაში არსებობდა?***

– ირაკლი ღარიბაშვილს პრემიერ-მინისტრად დაბრუნება მოუწია იმ პირობებში, როდესაც საქართველოს ჰქონდა ძალიან ბევრი როგორც შიდა, ისე გარე გამოწვევა, გულისხმობ შიდა პოლიტიკურ ტურბულენტურ გარემოს და, ასევე, იმ გამოწვევებს, რომლებიც არსებობდა როგორც რეგიონში, ასევე, რუსეთთან მიმართებით.

მისი პრემიერობის დროს საქართველოში შენარჩუნდა პოლიტიკური სტაბილურობა, მიუხედავად არაერთი მცდელობისა, როგორც შიდა, ისე გარე ძალების მიერ, რომ ეს სტაბილურობა დაერღვიათ, დაემხოთ ხელისუფლება და ქვეყანაში გამოეწვია ანტიკონსტიტუციური პროცესები. იყო რეალური შანსი იმისა, რომ ქვეყანა წასულიყო დესტაბილიზაციის გზით – ეს არ იქნა დაშვებული. ადგილობრივი არჩევნების წინ ჩამოვიდა მიხეილ სააკაშვილი და იყო მცდელობა მომხდარიყო რევოლუციის გზით ხელისუფლების დამხობა და ესეც აღკვეთილი იქნა.

ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით სახელისუფლებო სტრუქტურები ძალიან კოორდინირებულად მოქმედებდნენ იმისათვის, რომ ქვეყანაში არეულობა აღეკვეთათ.

***– როგორ შეაფასებთ პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებებს ეკონომიკის აღდგენის კუთხით, რაც განსაკუთრებით რთული იყო პანდემიის ფონზე?***

– მიუხედავად იმისა, რომ პანდემიის ფონზე ჩვენ გვქონდა ეკონომიკის ვარდნა და შემცირდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა, ამ ერთწლიან პერიოდში მოხერხდა უარყოფითი ტენდენციის გარდატეხა, უკუქცევა და ჩვენმა ეკონომიკამ დაიწყო ნაბიჯ-ნაბიჯ ზრდა, ეს დასტურდება ყველა ეკონომიკური პარამეტრით და სტატისტიკური მონაცემებით.

ძალიან დიდი ყურადღება დაეთმო პანდემიის შედეგად დაზარალებულ მოქალაქეებს. მათ შორის მათ, ვინც ამის გამო სამსახური დაკარგეს. შეძლებისდაგვარად, რა საშუალებასაც იძლეოდა ჩვენი ბიუჯეტი, მოსახლეობას დახმარება გაუწიეს და შეუმსუბუქდათ მძიმე სოციალურ-ეკონომიკური დარტყმა, რაც პანდემიის დროს მიიღეს. პრემიერის ინიციატივით უკვე დაიწყო კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა იმისთვის, რომ ეკონომიკური ზრდა, რაც ჩვენ მივიღეთ, შენარჩუნებულიყო. მოქმედებაში იქნა ჩაშვებული ახალი სახელმწიფო პროგრამები, იგივე განახლებული რეგიონების პირველი ფაზა დაიწყო, ასევე, დაიწყო ინვესტორის მოძიება ანაკლიის პორტისთვის და ა.შ.

***– რას იტყვით ირაკლი ღარიბაშვილის როლზე საერთაშორისო ასპარეზზე?***

– მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებასა და დასავლელ პარტნიორებს შორის არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა კონკრეტულ საკითხებზე, ღარიბაშვილი იყო, სხვათა შორის, პირველი პრემიერ-მინისტრი დამოუკიდებელ საქართველოს ისტორიაში, რომელიც არ ერიდებოდა დასავლელი პარტნიორების წინაშე საქართველოს პოზიციის დაფიქსირებას ამა თუ იმ საკითხზე, რაც იწვევდა ჩვენსა და დასავლელ პარტნიორებს შორის აზრთა სხვადასხვაობას.

პრემიერი წითელ ხაზს ავლებდა იქ, სადაც იწყებოდა ქვეყნის სუვერენიტეტი. მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა გარკვეული აზრთა სხვადასხვაობები, რომელზედაც აქტიურად აპელირებდა ოპოზიცია, ჩვენი ურთიერთობები საერთაშორისო პარტნიორებთან არა თუ არ გაუარესდა, რისი იმედიც ჰქონდათ პოლიტიკურ ოპონენტებს, საქართველო არა თუ გაქრა ევროპული რადარებიდან, პირიქით, ჩვენი საერთაშორისო კავშირები კიდევ უფრო გამყარდა.



ყველა დონეზე საქართველო აღიარებულია, როგორც დასავლეთის ღირებული და მნიშვნელოვანი პარტნიორი. არც ერთი მნიშვნელოვანი სამხედრო პოლიტიკური თანამშრომლობის პროგრამა არ შეჩერებულა. ის რომ ღარიბაშვილი მიწვეულ იქნა ყველა მნიშვნელოვან საერთაშორისო ფორმატზე და ის იმყოფება მიუნხენში, ესეც არის გარკვეულწილად აღიარება, რომ ჩვენს მთავრობასთან დასავლეთს სურს, იქონიოს მზარდი და ფართო თანამშრომლობა.

***– რამდენად მნიშვნელოვანი იყო მედიაციის აქტი, რომელიც პრემიერმა სომხეთსა და აზერბაიჯანის ქვეყნებს შორის შეასრულა?***

– ეს მედიაცია მნიშვნელოვანი იყო, უამრავი ადამიანის სიცოცხლე იქნა გადარჩენილი. მედიაციის პროცესში მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია, ეს ყველაფერი პრემიერის და მისი მთავრობის ძალისხმევით მოხდა. საქართველომ საკუთარი თავი დაიმკვიდრა და პირველი ნაბიჯები გადადგა კავკასიის რეგიონში მედიატორის ფუნქციის შეძენისკენ.

***– გასულ წელს პრემიერ-მინისტრმა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ინიციატივები დააანონსა, რაც გულისხმობს ონლაინ თამაშების აკრძალვას, წამლებზე ფასების კლებასა და სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დასაქმებას. როგორ ფიქრობთ, როგორ მიიღო აღნიშნული ინიციატივები მოსახლეობამ?***

– ჩვენი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მიესალმა პრემიერის ინიციატივას, რაც გულისხმობდა ონლაინ კაზინოს აკრძალვას. ის, რომ პრემიერ-მინისტრის უშუალო ინიციატივით მოხდა წამლის ბაზრის დარეგულირება და ფარმაცევტულ ბაზარზე ხელოვნური მონოპოლიებისთვის არეალის შეზღუდვა, რა თქმა უნდა, ესეც არის იმის გამოხატულება, რომ საქართველოს ამჟამინდელი მთავრობა ატარებს სოციალურად ორიენტირებულ პოლიტიკას.

ღარიბაშვილის მთავრობამ აირჩია ის მიმართულებები, რომ მიუხედავად ეკონომიკური სირთულეებისა, აქცენტი გაკეთდა მოქალაქეების სოციალური მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. თურქეთიდან წამლების შემოსვლა მნიშვნელოვნად გააიაფებს წამლებზე ფასებს, რაც პრობლემა იყო მოსახლეობის უმეტესობისთვის.

***– და ბოლოს, როგორ შეაფასებთ პრემიერის როლს პანდემიის მართვაში?***

– მიუხედავად იმისა, რომ ვაქცინაციის ტემპები არ არის მაღალი, ხელისუფლება აკეთებს მაქსიმუმს. ჩვენთან ძლიერია ანტივაქსერული მოძრაობა, რითაც არის გამოწვეული ვაქცინის დაბალი მაჩვენებელი. ის, რომ ჩვენს მოქალაქეებს საშუალება აქვთ რამდენიმე ტიპის ვაქცინით აიცრან ან მიიღონ ბუსტერ დოზა, სწორედ ამჟამინდელი მთავრობის ძალისხმევის შედეგად მოხდა. ხელისუფლებამ მისი შეზღუდული შესაძლებლობის პირობებში მაინც მოახერხა პანდემიური სიტუაციის ჩარჩოებში მოქცევა და არ მისცა მას კიდევ უფრო გაფართოების საშუალება.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალაგაძე
**სარეკლამო სამსახური** – 599-532-690
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: **akhalitaoba.ge** ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „მარტო სააკაშვილი ბიძინა ივანიშვილს ვერ დაამარცხებს“

## მურმან დუმბაძე: „ეს ხელისუფლება მაშფოთებს, უკან არ დაიხევს, რომ მისი უფროსი რუსეთი იყოს“

ნათია ხურცილავა

**მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო მურმან, მიხეილ სააკაშვილმა უვადო შიმშილობა დაიწყო. ხომ არ განმეორდება იგივე სცენარი? როგორ ფიქრობთ, რა შეიძლება ამჯერად მისი გათვლა იყოს?***

– სამწუხარო ამბავია, ვერ ვიფიქრებდი, 21-ე საუკუნეში თუ ასე მოექცეოდა ხელისუფალი ადამიანს. მიხეილ სააკაშვილს სამედიცინო მომსახურებასთან წვდომა არ აქვს. არ აქვს ექიმის მომსახურეობა. არ აქვს წამალი, არ აქვს მკურნალობა, არ აქვს იმ უფლებით სარგებლობა, რაც იმთავითვე ნებისმიერ ქვეყანაში, ნებისმიერი ხელისუფლების პირობებში გარანტირებული უფლებაა და ეს სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლებაა.



სააკაშვილი გამოწვევას უკეთებს ყველას, რადგან არ გვაქვს არავის გარანტია, რომ ის მეორე შიმშილობის შემდეგ უკიდურესად არ დამძიმდება. ეს ძალიან სარისკო ნაბიჯია და ამას ვერ აცნობიერებს ხელისუფლება. ამიტომ, უნდა ვიხსნათ.

***– როგორ?***

– ამ ქვეყნის მოქალაქეებმა უნდა აიღონ ეს პასუხისმგებლობა, რადგან შეიძლება მერე უკვე გვიან იყოს. ის დღეს მხოლოდ საკუთარი თავისა და ღმერთის იმედად არის დარჩენილი საპყრობილეში. უკიდურესად მძიმე გადაწყვეტილება მიიღო. როგორც ჩანს, ეს არ არის ერთი საათის ან ერთი დღის გადაწყვეტილება. ის ფიქრობდა და მსჯელობის შედეგად მივიდა ამ დასკვნამდე – თუ სიკვდილია, მაშინ ამაყად და თავაწეულად მაინც მოვკვდე, რაც თქვა კიდეც.

ამ ყველაფრის შემხედვარეს ერთადერთი დასკვნის გაკეთების საფუძველი გრჩება, რომ ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში ვცხოვრობთ. ტოტალიტარიზმის დასამარცხებლად კი ერთობაა საჭირო. ხალხის ერთობა. ერთი ადამიანი ტოტალიტარიზმს და ბიძინა ივანიშვილს ვერ დაამარცხებს, რაოდენ დიდიც არ უნდა იყოს ამის სურვილი.

***– რუსთავში, ბადრი ჯაფარიძის ირგვლივ გაერთიანებით, ოპოზიცია რის თქმას შეძლებს ამომრჩევლისთვის ან „ქართული ოცნებისთვის“?***

– პირველ რიგში, უნდა აღვნიშნო, რომ ბადრი ჯაფარიძე რუსთავში ერთი მანდატისთვის არ მიდის. უფრო მეტისთვის მიდის და ეს ღირსების აღდგენაა. დიახ, ღირსების საქმეა რუსთავში ოპოზიციის გამარჯვება და არა პარლამენტში პლუს ერთი მანდატი. თქვენ კარგად იცით, ჩემი დამოკიდებულება საერთოდ პარლამენტში შესვლასთან დაკავშირებით როგორი იყო. მე დღესაც ვთვლი, რომ ყველა ოპოზიციური მანდატის დატოვება და პარლამენტიდან ქუჩაში გასვლა, რომ ვერ წარმოვიდგენთ, ისე სწრაფად მოიტანს ვადამდელ, რიგგარეშე არჩევნებსაც და უფრო მეტ შედეგსაც.



რაც მთავარია, რუსთავსა და ბათუმში გამარჯვება კიდევ ერთხელ იქნება იმის დასტური, რომ ბიძინა ივანიშვილმა წაგებული რეგიონები, ქალაქები უნდა აღიაროს. ერთხელ ეს ქალაქები ივანიშვილმა წააგო. წააგო არა მხოლოდ ბათუმი, მთლიანობაში აჭარა წააგო და ეს უნდა აღიაროს.

***– ანალიტიკოსები რუსთავში ძალიან მძიმე ორთაბრძოლას ვარაუდობენ. თქვენც ასე ფიქრობთ?***

– დიახ, ასე იქნება, მაგრამ თუ კრიმინალი, პოლიცია, ჯარი, მასწავლებლები და ყველა ერთად იქნება ოპოზიციის წინააღმდეგ მობილიზებული, ეს არ იქნება გამარჯვება. ბათუმიც და რუსთავიც ბიძინა ივანიშვილს ერთხელ უკვე წაგებული აქვს.

მე ვთვლი, რომ პრობლემა უფრო დიდია, ვიდრე წარმოგვიდგენია.

***– რას გულისხმობთ?***

– მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე გამოჩნდა, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტსა და უსაფრთხოებას ვერ დაიცავს. ღმერთმა ნუ ქნას, რომ ეს ბრძოლა წააგოს უკრაინამ, თუ ეს ასე მოხდა, მაშინ ჩათვალეთ, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება უფროსად რუსეთს იმ წუთში დაგვინიშნავს. ინტერნეტში დიდი ძიების შემდეგ გავიგე, რომ მიუნხენის კონფერენციაზე იმყოფებოდა ღარიბაშვილი. იმდენად უღიმღამო იყო მისი იქ ჩასვლა. ზელენსკისთან შეხვედრასა და მხარდაჭერის პირადად გამოცხადებაზე, აღარაფერს არ ვსაუბრობ.

***– საქართველოში 53 ორგანიზაცია აღმოჩნდა, მათ შორის პოლიტიკური პარტია, რომელიც პარლამენტში იყო წარმოდგენილი, რომელმაც პუტინს წერილი გაუგზავნა, რომ საქართველო არ უნდა გახდეს ნატოს წევრი.***

– ეს ხალხი ხელისუფლებაში არ არის. მართალია პარლამენტში იყვნენ, მაგრამ ძალიან ცოტა რაოდენობით. მათი მხარდაჭერა 2-3% არ აღემატება. ეს არის საზოგადოების ის ნაწილი, რომელსაც დღემდე აქვს საბჭოთა კავშირის ნოსტალგია. მე ხელისუფლება მაშფოთებს, რომელიც უკან არ დაიხევს, რომ მისი უფროსი რუსეთი იყოს.

# „როგორ უნდა დაეხმაროს საქართველო უკრაინას რეალურად და არა რაღაცა ბაქიბუქობით?“

## თორნიკე შარაშენიძე: „იმის ძახილი, რომ ივანიშვილის უკან დგას რუსეთი, ეს ხალხს ძალიან მობეზრდა“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.**

***– ბატონო თორნიკე, როგორია თქვენი შეფასებები ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით როგორც საშინაო, ისე საგარეო მიმართულებით? უკრაინაში მიმდინარე პროცესები დღეს ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ თემად რჩება. რას იტყვით ამ ყველაფერთან დაკავშირებით? რამდენად ფეთქებადსაშიში ვითარებაა დღეს უკრაინაში?***

– ჯერჯერობით ახლა დაიწყო რეალურად ეს პროცესი. პროცესი, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ რუსეთის მიერ პროცესების გადასინჯვის მცდელობა და ეს ასე მალე არ მორჩება. დაძაბულობა ნამდვილად არის, მაგრამ ამ ეტაპზე, არა მგონია, ომი მოყვეს ამას. ომის რეალურ მიზეზს მე ვერ ვხედავ. ომით მხოლოდ თუ წააგებს რუსეთი, თორემ რა უნდა მოიგოს?! რამდენიმე ტერიტორია შეიძლება წაგლიჯოს უკრაინას, მაგრამ ამით რას მიიღებს?!

***– იმის თქმა გინდათ, რომ თავად მეტად დაზარალდება?***

– რა თქმა უნდა. გვესმის განცხადებები, რომ კიევს აიღებენო და როგორ უნდა აიღონ კიევი. უზარმაზარი ტერიტორიაა ამხელა მოსახლეობით და ჯარით. ასე ნამდვილად არ მოხდება. უკრაინას ძლიერი ჯარი ყავს.

***– ამერიკელი მაღალჩინოსნების განცხადებები ზოგ შემთხვევაში გადაჭარბებული ხომ არ არის?***

– ეს ალბათ ემსახურება იმას, თუ რუსეთი მაინც დაიწყებს ომს, რომ ვერ შეძლოს და ეს გადააბრალოს უკრაინას. ამ სიტუაციაში, როცა მთელი მსოფლიო უყურებს რუსეთს, მას ექნება იმის მცდელობა რომ აგრესია დააბრალოს უკრაინას. თუმცა ცხადია, ამას არავინ არ დაიჯერებს.

***– როდესაც ვსაუბრობთ უკრაინაზე, ყოველთვის მის გვერდით უნდა ვიგულისხმოთ საქართველოცო. თქვენ რამდენად განიხილავთ ამ კონტექსტში?***

– გააჩნია, ყველა საკითხში თანხვედრას მე ვერ ვხედავ. კი ვართ დაკავშირებული, მაგრამ მთლად ისეც არა, როგორც ეს ზოგიერთს უნდა. ყველაფერში რომ საქართველო დავინახოთ, ასეც არ არის. ან მუდმივად ის კითხვა, რომ საქართველოს მთავრობა რას აკეთებს. რა შეუძლია საქართველოს მთავრობამ გააკეთოს, ჯერ მითხრან და მერე, კი ბატონო, ვილაპარაკოთ ამაზე. რეალურად, როგორ უნდა დაეხმაროს საქართველო უკრაინას? რეალურად და არა რაღაცა ბაქიბუქობით.

***– უფრო მეტად თამამი ხომ არ უნდა იყოს საკუთარ განცხადებებში?***

– ვერ გეტყვით. ისტორია შეაფასებს, რამდენად სწორად მოიქცა ეს მთავრობა. მე ნამდვილად ვერ ვხედავ იმის საფუძველს, რომ მთელმა ერმა კოლექტიური ხარაკირი გავიკეთოთ იმის გამო, რომ აი, ცუდად ვიქცევით. არც ასეა საქმე.

***– არ თვლით, რომ ზედმეტად ფრთხილობს „ოცნება“?***

– შესაძლოა ზედმეტად ფრთხილობს, მაგრამ ამის გამო მთელმა ერმა თვითმკვლელობა გამოვაცხადოთ, არასერიოზული მგონია ეს. ზოგადად ჩვენ გვახასიათებს ზომიერების უქონლობა და ამ სიტუაციაში ეს მშვენივრად გამოიხატა.

***– ხელისუფლების პოზიცია ჩვენს ქვეყანას არ აზარალებს?***

– არ არის ასე მარტივად საქმე. რამდენი ქართველი დაიხოცა დონბასში, მაიდანზე. ნამდვილად არ უნდა ჰქონდეს ჩვენს ქვეყანას იმის კომპლექსი, რომ უკრაინას ვერ ეხმარება. ბოლოს და ბოლოს, 3,5 მილიონი ვართ და რა დახმარება შეგვიძლია. რეალურად ჩვენ უფრო მძიმე სიტუაციაში ვართ, ვიდრე უკრაინა. მთელი ერი თავს ხომ არ მოვიკლავთ იმის გამო, რომ ხელისუფლებამ ერთი სიტყვა არ ჩაწერა რეზოლუციაში. ეს მათი პრობლემაა.

***– რამდენად წააგებს რუსეთი, თუკი ის სერიოზულ იერიშს მიიტანს უკრაინაზე?***

– რას მოიგებს, აი ეს არის მთავარი. არ მგონია, ომი დაიწყოს, იმიტომ, რომ რეალურად ვერაფერს მოიგებს ამით. მას ურჩევნია, რომ პირიქით, მშვიდობიანად მოაგვაროს ის პრობლემა, რაც მას უნდა. მას კი უნდა, რომ უკრაინამ შეასრულოს მინსკის შეთანხმების ყველაზე მტკივნეული პუნქტი, დონბასს მისცეს ისეთი ავტონომია, რომელიც მას აქცევს ტროას ცხენად უკრაინის შემადგენლობაში. ეს ყველაფერი დროში გაწერილი პროცესი იქნება.

***– ბატონო თორნიკე, შიდა პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით რას იტყვით? ოპოზიცია აცხადებს, რომ ყველანი ბადრი ჯაფარიძის გარშემო უნდა გაერთიანდნენ, რათა მან რუსთავში გამარჯვება შეძლოსო. ხელისუფლება კი აცხადებს, რომ რუსთავში ჩვენი რეალური ოპონენტი ნაცმოძრაობაა და არა „ლელოო“. რას იტყვით თქვენ?***

– თუ ნაცმოძრაობამ დაუჭირა მხარი ჯაფარიძეს, გასაგებია, რომ ნაცმოძრაობის ხმები წავა ჯაფარიძისკენ. რუსთავში კი კარ-



გი პოზიციები აქვს ნაცმოძრაობას და ნამდვილად არის გამარჯვების შანსი. რუსთავში ძლიერია ოპოზიციური მუხტი. თუ ნაცმოძრაობა მართლა დაუჭერს მხარს, აქვს ჯაფარიძეს შანსი. თუ არა და „ლელოს“ ხმებით ნამდვილად ვერ მოიგებს.

***– ახლა მაინც შეძლებს ოპოზიცია, გაერთიანდეს ჯაფარიძის გარშემო?***

– მე მართლა არ ვიცი, რამდენად სჭირდება ნაცმოძრაობას ჯაფარიძის გარშემო გაერთიანება. მათ გარეშე კი ჯაფარიძის გამარჯვების შანსი ნულია.

***– ბევრმა პოლიტიკურ დევნად შეაფასა დეპუტატებისთვის იმუნიტეტის შეწყვეტის საკითხი.***

– კი, რა თქმა უნდა, ეს პოლიტიკურიც არის, მაგრამ პირველ რიგში იურიდიულად ამის საფუძველი მისცეს.

***– რას ფიქრობთ ხელისუფლების შიგნით მიმდინარე პროცესებზე? საგარეო კურსთან მიმართებით ძალიან ფრთხილობს „ქართული ოცნება“ და ეს უშუალოდ ივანიშვილის მითითებით ხდება?***

– რა თქმა უნდა, ფრთხილობს. მაგაში დარწმუნებული ვარ, რომ სტრატეგიულ მიმართულებებს განსაზღვრავს ბიძინა ივანიშვილი და მთავრობაც ასრულებს. ფრთხილად – ეს არის მისი კრედო. ფრთხილად ვიყოთ და ესენიც ემორჩილებიან. რამდენად სწორია ივანიშვილის დოქტრინა, რომ ფრთხილად ვიყოთ, ამას დრო გამოაჩენს. ცხადია, საქართველოს შეუძლია უკეთესი პოლიტიკა გაატაროს, მაგრამ, მეორე მხრივ, უარესებიც გვინახავს.

***– ეს უბრალო სიფრთხილეა თუ ცდილობს ივანიშვილი, რომ ურთიერთობები არ გაიფუჭოს რუსეთთან?***

– ეს ერთი და იგივეა პრინციპში. ერთი და იგივე მიზანს ემსახურება საბოლოო ჯამში.

***– ივანიშვილის პირადი ინტერესი მოდის წინა პლანზე?***

– რა ინტერესი შეიძლება ჰქონდეს, თორემ კი. თუ ოპოზიციას დავუჯერებთ, ივანიშვილმა მთელი მისი ქონება დასავლეთში გაიტანაო და აბა რუსეთთან რა ინტერესი უნდა ჰქონდეს?!

***– ბევრი ფიქრობს, რომ არ უჩანს პირი, ბიძინა ივანიშვილი ქვეყნის დატოვებას და პოლიტიკიდან წასვლას აპირებდესო. მეორე მხრივ, საუბარია იმაზე, რომ „ქართული ოცნება“ მთლიანად გაკოტრებულია. წავა ივანიშვილი ახალი პოლიტიკური ძალის შექმნაზე?***

– დღეს ისეთი დასუსტებულია ოპოზიცია, რომ რაც არ უნდა არაპოპულარული იყოს „ოცნება“ დღეს, რატომ უნდა იფიქროს ივანიშვილმა ახალი ძალის შექმნაზე?!

***– კობახიძე-მდინარაძეები საკმაოდ წამგებიანია, თქვენ ასე არ ფიქრობთ? ძალიან ბევრს აღიზიანებს კობახიძე და მისი განცხადებები.***

– გეთანხმებით, ბევრისთვის გამაღიზიანებელია და ის ვინც ღიზიანდება, როგორც წესი, არჩევნების დღეს სახლში რჩება ხოლმე და აი ეს არის ამ ყველაფერზე პასუხი.

***– ანუ ეს არის ივანიშვილის მიზანი, რომ რაც შეიძლება ნაკლები ხალხი მივიდეს არჩევნებზე?***

– კი, ზუსტად ასეა. გამარჯვების ფორმულა არჩევნებში არის ეს, ნაკლები ხალხი მივიდეს არჩევნებზე. ხოლო მოსახლეობის იმედგაცრუებული დიდი ნაწილი დარჩეს სახლში და არ აინტერესებდეს არაფერი. ამით ყოველთვის მოგებული რჩება მმართველი პარტია. აი ამ შემთხვევაში შეიძლება რაღაც საერთო დავინახოთ რუსულ მოდელთან. იქაც ასეთი ნიჰილიზმია მოსახლეობაში, რა მნიშვნელობა აქვს, ვინ მოვა. ასევე, თუ არჩევნებზე არ მიდის მოსახლეობის დიდი ნაწილი, ეს მარტო ივანიშვილის ბრალი კი არა, ოპოზიციის ბრალიც არის. ოპოზიციას უამრავი საშუალება აქვს, მარტო სამი პოპულარული ტელეარხი აქვთ. თუმცა ოპოზიცია იმდენ შეცდომას უშვებს, რომ, რა გითხრათ. იმის ძახილი, რომ ივანიშვილის უკან დგას რუსეთი, ეს ხალხს ძალიან მობეზრდა. ვერც იმის შანს ვხედავ უახლოეს პერიოდში, რომ ოპოზიციამ გაილვიძოს და მიხვდეს საკუთარ შეცდომებს. ძალიან არათანმიმდევრულია ოპოზიცია. მათი არათანმიმდევრულობით კი „ოცნება“ გამოდის გამარჯვებული. ნამდვილად აქვთ იმის ფუფუნება, რომ იყვნენ მშვიდად ასეთი ოპოზიციის პირობებში. თუ ასე გაგრძელდა და არაფერი შეიცვალა, 2024-შიც იგივე იქნება. ეს ვის აწყობს? ეს აწყობს ბატონ ბიძინას.

# „რუსთავის მერმა მოხუცთა თავშესაფარში ტკბილეული არ მიგვატანინა“

## მამუკა ტუსკაძე: „ნინო ლაცაბიძე და მამამისი წლების წინ ნაცმოძრაობის წევრები იყვნენ, ახლა „ოცნებაა“

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს პოლიტიკური მოძრაობა „სოციალური სამართლიანობისთვის“ ლიდერი მამუკა ტუსკაძე პასუხობს.**



***– ბატონო მამუკა, 20 თებერვალი სოციალური სამართლიანობის მსოფლიო დღეა. როგორ გამოეხმაურა თქვენი ორგანიზაცია ამ თარიღს?***

– ეს დღე რუსთავში აღვნიშნეთ. 20 თებერვალი გაეროს მიერ სოციალური სამართლიანობის მსოფლიო დღედაა დადგენილი. წლებია ჩვენი ორგანიზაცია ამ დღეს აღნიშნავს. წელს გვინდოდა ცოტა პომპეზურად აღგვენიშნა და რუსთავის მოხუცებულთა სახლის ბენეფიციარებისთვის მიგვეტანა სუვენირები, ტორტი, ტკბილეული და თან გვესაუბრა იმაზე, რას ნიშნავს სოციალური სამართლიანობა, განსაკუთრებით, ამ შემთხვევაში, მოხუცებულებისა და სოციალურად დაუცველებისთვის. ამაზე შეთანხმება მიღწეული იყო, მაგრამ უცებ აღმოჩნდა, რომ ამის გაკეთება არ შეგვეძლო.

***– რატომ?***

– 19 თებერვალს, საღამოს გვითხრეს, რომ ქალაქ რუსთავის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რუსთავის თავშესაფარში მოხუცებულებთან ტკბილეულითა და სუვენირებით არ მივსულიყავით.

***– მიზეზი რა იყო?***

– არ ვიცი. სოციალური უსამართლობაა. კიდევ ერთი უსამართლობა ამ უსამართლო ქვეყანაში ისიცაა, რომ ხელისუფლება იქნება თუ ოპოზიცია, რეალურად, ასეთი რამის გაკეთების უფლებას აძლევს თავს, რაც ძალიან ცუდია. ეს იმას ნიშნავს, პოლიტიკაშიც სოციალური უსამართლობაა.

ე.ი. რესურსების არასწორი გადანაწილება ხდება. ეს ადამიანური, ფინანსური, ინტელექტუალური და ყველა სახის რესურსია. ისინი რესურსს სამართლიანად კი არ ანაწილებენ, როგორც ხალხს უნდა, არამედ იყენებს ისე, როგორც მათ უნდათ.

გადავწყვიტე, აქცია მერიის წინ ჩამეტარებინა და მოხუცებთან მისატანი ტკბილეული და ტორტი რუსთავის მერს მივუტანეთ. კვირა დღე იყო და, ბუნებრივია, მერი სამსახურში არ იყო. ეტყობა, ნინო ლაცაბიძემ 6 დღე დაძაბულად იმუშავა. ნინო ლაცაბიძე და მამამისი წლების წინ ნაცმოძრაობის წევრები რომ იყვნენ, ეტყობა, იმ დროიდან დაღლილი არიან. დაღლა იქიდან აქვთ გამოყოლილი. ახლა „ქართულ ოცნებას“ წარმოადგენენ, მაგრამ დაღლილები არიან. შესაბამისად, კვირას ისვენებდა.

ჩვენ ტორტი მოხუცთა თავშესაფრის მაგივრად სხვა დაწესებულებაში წავიღეთ და ნინო ლაცაბიძეს მივუტანეთ. დაცვამ შენობაში არ შემიშვა. ლოგიკურიც იყო, რომ ასე მოხდებოდა, რადგან მერი იქ არ იყო. ლაცაბიძე დასასვენებლადაა წასული. ამ დაქცეულ, უსამართლო სახელმწიფოში ის სამსახურშიც არ დადის.

***– კვირაა და უფლება აქვს.***

– კვირა რომ არის, გასაგებია, მაგრამ სახელმწიფო მოხელე და ქალაქის პირველი პირი რომ ხარ, სამსახურში კვირა დღესაც უნდა იარო.

***– ვინ შეგატყობინათ, რომ მოხუცთა თავშესაფარში ტკბილეულის მიტანა არ შეგეძლოთ?***

– თავშესაფრის ხელმძღვანელმა მალხაზ კვინიკაძემ შემატყობინა, რომ მოხუცთა თავშესაფარში ტკბილეულის მიტანა და იმ სიკეთეებზე საუბარი არ შემეძლო, რაც სოციალურ სამართლიანობას მოაქვს. მალხაზ კვინიკაძე ასე ნინო ლაცაბიძის აზრიდან გამომდინარე მოიქცა. თავდაპირველად მალხაზ კვინიკაძე დამეთანხმდა, მაგრამ ნინო ლაცაბიძისაგან დამოუკიდებლად გადაწყვეტილება ვერ მიიღო. მერთან საუბრის შემდეგ, დამირეკა და მითხრა, ქალაქის ხელმძღვანელობა ბოდიშის მოხდით უარზეა, რომ თქვენ ეს ღონისძიება ჩაატაროთ მოხუცებულთა თავშესაფარშიო.

***– თავშესაფარში ტკბილეულის მისატანად წინასწარ შეთანხმება საჭიროა?***

– წინასწარ შეთანხმება საჭირო არ არის, მაგრამ იმიტომ შევუთანხმდი, მცოდნოდა, რამდენი ბენეფიციარი ჰყავდათ, რაზე გამეკეთებინა გათვლა, რა თანხა შეიძლებოდა დამჭირვებოდა. შევთანხმდით, მაგრამ ეს ამბავი რუსთავის მერმა გაიგო და ღონისძიებისთვის ხელის შეეშალა გადაწყვიტა. ამიტომ ის ტკბილეულობა მთლიანად რუსთავის მერს მივუტანე, რომ მოხუცებულებისთვის განკუთვნილი ტორტი მას დაეგემოვნებინა.

***– თქვენ რუსთავის მაჟორიტარი დეპუტატის შუალედურ არჩევნებზე კანდიდატად დარეგისტრირდით. ძალიან ცუდ დროს ხომ არ ჩაერთეთ არჩევნებში?***

– პირიქით, მგონია, რომ ნაცებმა და ქოცებმა სწორედ რუსთავში უნდა დაამთავრონ ერთმანეთთან ჭიდილი. დღეს რუსთავში არის იმის საშუალება, რომ ახალმა ძალამ ხმების სოლიდური რაოდენობა მიიღოს, რათა მომავალში ადგილობრივმა მოსახლეობამ (არა მარტო რუსთაველმა, არამედ მთელმა საქართველომ) ნახოს, მესამე ძალის გამოჩენის შესაძლებლობა. ახლა ძალიან ცოტა კანდიდატი მონაწილეობს და, ბუნებრივია, აქ შეიძლება გამოიკვეთოს მესამე, ახალი ძალის გამოჩენის სურვილი.

***– თქვენ ამ შემთხვევაში რუსთავის არჩევნებში „ოცნების“ ხმებს წაიღებთ? ნაცმოძრაობის ამომრჩეველი თქვენ ხმას არ მოგცემთ.***

– ნაცმოძრაობისა და „ოცნების“ ამომრჩეველი ისევ ნაცმოძრაობასა და „ოცნებას“ მისცემს ხმას. ჩვენ ხმას მოგვცემს გადაუწყვეტელი ამომრჩეველი, რომელსაც ნაცებისა და „ოცნებისთვის“ ხმის მიცემა არ უნდა. წინა არჩევნებში ნაცმოძრაობამ მიიღო 30%, „ოცნებამ“ – 45%. მე ვიმუშავებ ამომრჩევლის 25%-ის მიმხრობაზე. ჩემი ვარაუდით, 10%-ზე მეტი უნდა მივიღო.

***– ამ შემთხვევაში თქვენი მიზანი რა არის?***

– მინდა დავანახო საზოგადოებას, რომ ნაცებისა და ქოცების გარდა, სხვა ძალებიც არიან.

***– თქვენ დასაწყისში მითხარით, „ოცნებისთვის“ ცხადი უნდა იყოს, რომ თქვენ მათი მოწინააღმდეგე არ ხართ. მაინც პოლიტიკური ორთაბრძოლაა, „ოცნება“ რით უნდა იყოს დარწმუნებული, რომ ისეთი მოწინააღმდეგე არ ხართ, როგორიც სხვა პოლიტიკური მოწინააღმდეგეები არიან?***

– „ოცნება“ დარწმუნებული უნდა იყოს, რომ, ვთქვათ, მე მათ მერიაში არ შევუვარდები და სკანდალს არ მოვაწყობ, როგორც ნაცმოძრაობა. მე ვიქნები კონსტრუქციული ოპოზიცია. ხელისუფლება ყურადღებით უნდა იყოს, რომ იცოდეს, კონსტრუქციული ოპოზიცია რას ითხოვს და რას აკეთებს.

# „ივანიშვილმა გადაწყვიტა, ოპოზიციის ცენტრალური ფიგურა ბადრი ჯაფარიძე იყოს“

## მირიან მირიანაშვილი: „ამერიკელები კელი დეგნანის თაობაზე რუსებთან დათმობაზე არ წასულან“

მარიამ მჭედლიშვილი

**სად წავიდა კელი დეგნანი? დაუთმო თუ არა ვაშინგტონმა მოსკოვს კელი დეგნანის საკითხში? რატომ იქნება ქართული პოლიტიკური ელიტისათვის უკეთესი, თუ საქართველოში აშშ-ის ელჩი ისევ კელი დეგნანი იქნება? რომელი პოლიტიკური პარტიებისა და ფიგურების წამოწევა ხდება ბოლო დროს? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა პოლიტიკური ორგანიზაცია „ერის“ თავმჯდომარეს, ყოფილ დეპუტატს, მირიან მირიანაშვილს.**

***– „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ნათქვამი გაქვთ, რომ კულუარებში რუსები ამერიკელებისგან მოითხოვენ საქართველოში აშშ-ის ელჩის, კელი დეგნანის გაწვევას. ამერიკელები კი აცხადებენ, რომ ამას არ აპირებენ. ახლა რა ხდება? კელი დეგნანი საქართველოში აღარაა, განცხადებებს კი ელჩის მოვალეობის შემსრულებელი აკეთებს.***

– თქვენთან ინტერვიუში, მართლაც, ექსკლუზიურად გითხარით რუსების ეს მოთხოვნა. მოგვიანებით გავიგე, რომ ეს პრეტენზია რუსებს ჯერ კიდევ ნოემბერში ჰქონდათ. შემდეგ, როცა სხვა საკითხებზე გაიმართა ბლინკენისა და ლავროვის შეხვედრა, ლავროვმა კელი დეგნანის საკითხი კიდევ ერთხელ დააყენა. კელი დეგნანი სერიოზულ პრობლემებს უქმნის რუსეთს, შლის მათ მადესტაბილიზებელ გეგმებს საქართველოში და ახერხებს ხელოვნურად აგორებული თუ სხვა კრიზისების დაძლევას. ეს რუსებს ძალიან აშფოთებთ. ამერიკელები კელი დეგნანის თაობაზე რუსებთან დათმობაზე არ წასულან. ელჩი აშშ-ში კონსულტაციებს გადის. მას ენერგიული პოზიცია უკავია და ბევრ რამეს აკეთებს საქართველოში. კელი დეგნანმა დაასრულა ნომინალური ელჩების პრაქტიკა საქართველოში. ნიშანდობლივი და ტრაგიკომიკურია ქართული პოლიტიკური ელიტის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი. ქართულ პოლიტიკურ ელიტას ამ საკითხზეც არავითარი წარმოდგენა არა აქვს, ისევე, როგორც ბევრ სხვა პრობლემაზე.

***– რაში მდგომარეობს ქართული პოლიტიკური ელიტის დამოკიდებულება?***

– პოლიტიკური ლიდერები, პარტიების წევრები ამ თემაზე ღიად პოზიციების დაფიქსირებას ერიდებიან. თუმცა, ბევრი რამ იშიფრება სოციალურ ქსელებში გამოქვეყნებული კომენტარებიდან. ნაცმოძრაობის მომხრეები, ისევე, როგორც, მაგალითად, „პატრიოტთა ალიანსის“ და „ქართული ოცნების“ მომხრეები ერთნაირად ბედნიერი და გახარებული არიან იმით, რომ კელი დეგნანი არ იმყოფება საქართველოში. ესეც ადასტურებს, რომ სხვადასხვა ყაიდის პარტია ერთი ცენტრიდან – რუსეთიდან იმართება.

***– პარტიების ნაწილი მხარს უჭერს უკრაინას. ადრე თქვით, რომ ლავროვის აპარატიდან მოსული იყო დირექტივა და არავინ ხმას არ იღებდა უკრაინის გარშემო შექმნილ სიტუაციაზე. შემდეგ, თქვენი ინფორმაციით, კელი დეგნანი შეხვდა მმართველი პარტიის თავმჯდომარე კობახიძეს და უკრაინის საკითხი გააქტუალურდა. ახლაც ამ ტენდენციას მიჰყვებიან?***

– თავიდან უკრაინაზე კრინტს არ ძრავდნენ. არავინ იღებდა ხმას. კობახიძესთან გასაუბრების შემდეგ დაირეკა ბიძინა ივანიშვილთან და ყველა პარტია ერთდროულად აჟრიამულდა. ეს ძალიან თვალშისაცემი იყო და შეუმჩნეველი არ დარჩენიათ დასავლელ პოლიტტექნოლოგებს და ანალიტიკოსებს. მათ შესანიშნავად იციან, რომ ქართული პოლიტელიტა ერთი ბანაკია. სხვათა შორის, უკრაინასთან დაპირისპირებაში გამოჩნდა ერთი რამ, რუსეთი ერთი ჩვეულებრივი რეგიონული სახელმწიფოა.

***– რეგიონის ლიდერიც კი არ არის? თვითონ რუსეთს, ალბათ, მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოდ წარმოუდგენია თავი.***

– უკრაინის კრიზისმა ნათლად გამოააშკარავა, რომ მოსკოვს არ გააჩნია პოლიტიკური და სამხედრო რესურსები. მას არ შესწევს რესურსები, რათა მოაგვაროს უკრაინის კრიზისი. რუსეთი ჰგონია, რომ არის დომინანტი პოსტსაბჭოთა სივრცეში. ამ სტატუსის გამოყენებით ცდილობდა რუსეთი ადგილის დაკავებას მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების რიგში. მისი მცდელობები ფუჭი გამოდგა. დამტკიცდა, რომ რუსეთი არის ჩვეულებრივი რეგიონული სახელმწიფო რესურსების გარეშე. კრემლს არაფრით არ ეგონა, რომ დასავლეთი უკრაინის გვერდით იქნებოდა. ეგონა, რომ დასავლეთი უკრაინას მიატოვებდა, მაგრამ შეცდა.



***– რუსეთში ახლაც იმეორებენ, რომ დასავლეთმა უკრაინა მიატოვა.***

– ამ სიცრუეს ავრცელებს რუსული პროპაგანდა. საქართველოში რუსეთი ამას აკეთებს ქართული კლასტერის დახმარებით. ქართველ ობივატელს აჯერებენ, თითქოს დასავლეთმა უკრაინა რუსეთს შეატოვა, რუსეთი კი თითქოს უძლეველია. რომელიმე ჟუჟუნას და ქსენიას ამისი სჯერა. მთავარი ისაა, რომ ჟუჟუნას და ქსენიას აზრები არ ცვლიან მსოფლიო და რეგიონულ მოცემულობას.

***– ელჩის საკითხს დავბრუნდეთ. ამერიკელებს კელი დეგნანის საკითხში არაფერი დაუთმიათ?***

– აშშ-ის მხრიდან რუსების პრეტენზიებზე არანაირი დათმობა არ ყოფილა. ელჩის წაყვანა და გაწვევა არ მომხდარა. ელჩი რომ წასულიყო, წასვლის წინ გამოსამშვიდობებელ ცერემონიებში მიიღებდა მონაწილეობას. 11 თუ 12 თებერვალს კელი დეგნანი საგარეო საქმეთა მინისტრ ზალკალიანსაც შეხვდა. წასვლაზე არაფერი უთქვამს. იგი კონსულტაციებს გადის ელჩის მანდატის გაფართოებაზე.

***– აშშ-ის ელჩს მანდატი კიდევ უფრო გაუფართოვდება?***

– დიახ. კელი დეგნანი იქნება ელჩი თუ სხვა, სულ ერთია – აშშ-ის ნომინალური ელჩების ტრადიცია დამთავრდა. ელჩის მანდატი კიდევ უფრო გაფართოვდება. ქართულ პოლიტიკურ ელიტას ჭკუა რომ ჰქონდეს, რომელიმე ხისტ ელჩს კელი დეგნანი უნდა ერჩიოს. კელი დეგნანი პირად ურთიერთობებში ყოველთვის კორექტულია. ზედმეტად კორექტულიც კი.

***– შიდა პოლიტიკაზეც უნდა გკითხოთ. ბოლო ხანს „ქართული ოცნების“ დღის წესრიგის უმთავრესი თემებია საუბარი გახარიას პარტიაზე, ასევე – „ლელოზე“. რისთვის სჭირდება „ოცნებას“ მათი უსაშველო რეკლამირება?***

– ეს ყველაფერი მომდინარეობს ბიძინა ივანიშვილისგან. ის სხვების რჩევებს არ იღებს. ალბათ, სწორადაც იქცევა, იმიტომ, რომ ქართული პოლიტელიტა საოცრად არაკომპეტენტურია. გახარიას პარტია ადრეც მოიაზრებოდა ე. წ. მესამე ძალად. იყო მცდელობა, შეექმნათ სამსუბიექტიანი გარემო. მას შემდეგ, რაც გამოაშკარავდა, რომ სააკაშვილის პოლიტიკურ ველზე გამოყვანა არ გამოდის, გააქტიურდა გახარიას გაპიარება. თუმცა, ოპოზიციის ლიდერად ივანიშვილი სხვას თვლის.

***– ვის?***

– ივანიშვილმა გადაწყვიტა, ოპოზიციის ცენტრალური ფიგურა, იგივე ლიდერი ბადრი ჯაფარიძე იყოს.

***– პარლამენტიდან გაშვებითაც წამებულის იმიჯი შეუქმნეს?***

– ცხადია. დარწმუნებული ვარ, ჯაფარიძე რუსთავის შუალედურ მაჟორიტარულ არჩევნებში გაიმარჯვებს. ბადრი ჯაფარიძეს სხვებთან შედარებით უკეთესი ბიოგრაფია აქვს. ის იყო უზენაესი საბჭოს წევრი, რომელმაც ხელი მოაწერა დამოუკიდებლობის აქტს. ის გახარიასავით მოსკოვიდან არ ჩამოსულა, არც სხვებივით „მგიმო“ აქვს დამთავრებული. ივანიშვილის გათვლით, ჯაფარიძის ანტირუსული წარსული მას ხელს შეუწყობს დასავლეთთან ურთიერთობაში. მოკლედ, ივანიშვილი ფიქრობს, რომ ბადრი ჯაფარიძე დასავლეთში „გამსვლელი“ ფიგურა იქნება.

## ნაზი ჯანეზაშვილი: „მოსამართლე 2 ძირითად კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს“

— კანონი ითხოვს, რომ მოსამართლე აკმაყოფილებდეს ორ ძირითად კრიტერიუმს, ეს არის: კეთილსინდისიერება და კვალიფიკაცია, თუმცა ჩვენ წლების განმავლობაში ვნახეთ, რომ მოსამართლეები ამ კრიტერიუმებს ვერ აკმაყოფილებენ.

ამის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყოფილმა არამოსამართლე წევრმა, ორგანიზაცია „საქართველოს სასამართლოს გუშაგის“ თავმჯდომარემ, ნაზი ჯანეზაშვილმა, ნაშრომის, „მოსამართლეთა თანამდებობასთან შესაბამისობა“ პრეზენტაციის დაწყებამდე განაცხადა.

როგორც ჯანეზაშვილმა განმარტა, კვლევა, რომლის პრეზენტაციაც გუშინ, 21 თებერვალს, გაიმართა, მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ „მუდმივად ხდებოდეს იმ პრობლემების შესწავლა, რაც სასამართლოშია“.



— როგორც იცით, კანონმდებლობა საკმაოდ სრულყოფილია იმ თვალსაზრისით, რომ კანონი ითხოვს, მოსამართლე აკმაყოფილებდეს ორ ძირითად კრიტერიუმს, ეს არის: კეთილსინდისიერება და კვალიფიკაცია, თუმცა ჩვენ წლების განმავლობაში ვნახეთ, რომ ხშირ შემთხვევაში მოსამართლეები ამ კრიტერიუმებს ვერ აკმაყოფილებდნენ, შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რა თქმა უნდა, ისეთი რეფორმების გატარება, რომლებიც სწორედაც ემსახურება იმას, რომ სისტემაში შევიდნენ ძალიან ღირსეული, გამოცდილი, კვალიფიკაციის შესაბამისი და ამავდროულად, კეთილსინდისიერი მოსამართლეები. ორივე კრიტერიუმი არის თანაბრად მნიშვნელოვანი.

რაც შეეხება უშუალოდ კვლევას, მე ვფიქრობ, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული ნიჰილიზმი უკვე არსებობს საზოგადოებაში, ძალიან ბევრი აქვს კვლავ გასაკეთებელი სამოქალაქო საზოგადოებას, იმიტომ, რომ არ შეიძლება და ეს კვლევაც, მე ვფიქრობ, არის ძალიან არსებითი და საჭირო დღეისათვის, რომ მუდმივად შესწავლა ხდებოდეს იმ პრობლემების, რაც სასამართლოშია, მუდმივად ხდებოდეს შეფასება იმ გამოწვევების, რაც დღეს დგას მოსამართლეების წინაშე და საზოგადოება რას ითხოვს, ეს იცოდნენ სასამართლო სისტემაში, მათმა წარმომადგენლებმა. ამიტომ, ვფიქრობ, კარგია, ასეთი კვლევები რომ იწერება, მნიშვნელოვანია ამ თემებზე დისკუსია, — განაცხადა ნაზი ჯანეზაშვილმა.

## გიორგი მასხულიას თავს დაესხნენ და ფიზიკურად გაუსწორდნენ

დიზაინერ გიორგი მასხულიას სამი უცნობი პირი თავს დაესხა და ფიზიკურად გაუსწორდა. ის ამის შესახებ სოციალურ ქსელში წერს:



„არ გეგონოთ ვინმეს, თავს გახვევდეთ რამეს. უბრალოდ, მინდა გვერდით დამიდგეთ, სამი ადამიანი მირტყამდა გამეტებით კლუბ ოთახთან, დაცვაც ეხმარებოდა, და ასე მითხრეს ეს მავანისგანო, რა დავუშავე ამ კაცს, 5 წელზე მეტია, რაც ჟურნალისტურ დევნას ახორციელებს ჩემზე. სამართალი არ არსებობს, რა უნდა ჩემგან ამ ადამიანს, რას მერჩის, მიიღეთ ზომები, დამიდექით გვერდით, გთხოვთ ხალხნო. ნუთუ არ დაიღალეთ ხალხის ბულინგით, ცემით, მკვლელობით, მაინცდამაინც თავი მოვიკლა ამ ადამიანის გამო? გთხოვთ, დამიდექით გვერდით“.

## თბილისში დაკარგული ირაკლი ტეფნაძე გარდაცვლილი იპოვეს



თბილისში დაკარგული ირაკლი ტეფნაძე, რომელსაც ოჯახი 16 თებერვლის შემდეგ ეძებდა, გარდაცვლილი ნახეს.

ამის შესახებ ინფორმაციას სოციალურ ქსელში ოჯახი ავრცელებს. ახალგაზრდა კაცი სახლიდან 16 თებერვალს გავიდა და უკან აღარ დაბრუნებულა.

მას ცოლი და ორი მცირეწლოვანი შვილი დარჩა.

# ნინო ლომჯარია: „ეუთო/ოდირი მოითხოვს, რომ სახელმწიფო ინსპექტორთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებები შეჩერდეს“




— ეუთო/ოდირი ხაზგასმით ითხოვს, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურთან დაკავშირებით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების მოქმედება შეჩერდეს. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ კანონის მოქმედება არ შეჩერდება, მოქმედი სახელმწიფო ინსპექტორი და მისი მოადგილეები უფლებამოსილების ვადაში დარჩნენ თანამდებობაზე.

ამის შესახებ სახალხო დამცველმა ნინო ლომჯარიამ გუშინ, 21 თებერვალს, გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, რომელმაც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით ეუთო/ოდირის შეფასებები გაასაჯაროვა.

მისივე თქმით, ეუთო/ოდირი ცალსახად აცხადებს, რომ პროცესი, როგორც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმება, წარიმართა და ის ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართალს ეწინააღმდეგება.

— 2 თებერვალს ჩვენ ოფიციალურად მივმართეთ ეუთო/ოდირს თხოვნით, რომ მათ წარმოედგინათ მოსაზრება სახელმწიფო ინსპექტორის გაუქმებისა და იმ ცვლილებების თაობაზე, რაც ამ საკანონმდებლო პროცესს მოჰყვა. 18 თებერვალს ჩვენ მივიღეთ დაჩქარებული წესით მომზადებული საკმაოდ მნიშვნელოვანი დოკუმენტი, სადაც არის წარმოდგენილი ეუთო/ოდირის მოსაზრებები განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებით.

ეუთო ხაზგასმით ითხოვს, რომ განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების მოქმედება შეჩერდეს. ეს არის მათი მთავარი რეკომენდაცია. ეუთო/ოდირი ცალსახად აცხადებს, რომ ის პროცესი, თუ როგორც წარიმართა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმება, ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართალს, დამოუკიდებელი ინსტიტუტების რეგულირების შესახებ არსებულ საერთაშორისო სტანდარტებს, მათ შორის, ეუთოს სტანდარტებს. ასევე მიაჩნიათ, რომ პარლამენტმა დაარღვია დემოკრატიული საკანონმდებლო პროცესის სტანდარტები, როდესაც დაჩქარებული წესით, ყოველგვარი ჩართულობის, წინასწარი კონსულტაციების გარეშე მიიღო ასეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება. ეუთო/ოდირი აცხადებს, რომ ამ გადაწყვეტილებას შეიძლება ძალიან მნიშვნელოვანი და დამაზიანებელი ეფექტი ჰქონდეს საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვაზე და ასევე, სხვა დამოუკიდებელი ინსტიტუტების მოქმედებასა და საქმიანობაზე. მათ შორის, ახლად შექმნილ სამსახურებზე. ამიტომ ის კატეგორიულად მოითხოვს და აძლევს რეკომენდაციას, შეჩერდეს ამ კანონის მოქმედება, — განაცხადა ნინო ლომჯარიამ.

მისივე თქმით, მეორე მთავარი არგუმენტი არის ის, რომ იმ შემთხვევაში, თუ კანონის მოქმედება არ შეჩერდება, ის რეკომენდაციას აძლევს სახელმწიფოს, რომ მოქმედ სახელმწიფო ინსპექტორს და მის მოადგილეებს შეუნარჩუნდეთ უფლებამოსილება და მათი უფლებამოსილების ვადაში ისინი დარჩნენ თანამდებობაზე.

— ეს არის ეუთო/ოდირის ერთ-ერთი პრინციპული მოთხოვნა და ამბობს, რომ მიუღებელია დამოუკიდებელი არჩევითი ინსტიტუტების ხელმძღვანელი პირების თანამდებობის ვადის გაუქმება, თუნდაც საკანონმდებლო ცვლილების გზით. მათი თქმით, ეს წარმოადგენს მათი საქმიანობისა და მათი დამოუკიდებლობის ხელყოფას, რომელსაც აქვს ძალიან მძიმე ეფექტი ასევე სხვა დამოუკიდებელი ორგანოების საქმიანობაზეც. ჩვენ უნდა შევაჩეროთ ამ კანონის მოქმედება და დაიწყოს ღია დისკუსიები დაინტერესებული მხარის მონაწილეობით აღნიშნული საკითხების გარშემო, — დასძინა ნინო ლომჯარიამ.

საქართველოში ევროკავშირის ელჩის კარლ ჰარცელის განცხადებით, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიმართ საჭიროა განსაკუთრებულად ფრთხილი და გამჭვირვალე დამოკიდებულება, რაც არ ჩანს.

ჰარცელის განცხადებით, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მუშაობაში ევროკავშირმა დიდი ძალისხმევა და ფინანსები ჩადო.

— სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური არის ფუნდამენტური ინსტიტუტი კონტროლის და ბალანსის უზრუნველსაყოფად და მის მიმართ საჭიროა განსაკუთრებულად ფრთხილი და გამჭვირვალე დამოკიდებულება, რაც ჩვენ ვერ დავინახეთ გასული წლის ბოლოს და რაც შემაშფოთებელია ჩვენთვის, რადგან ფუნდამენტურად აუცილებელია, რომ მსგავს ინსტიტუტს შესაბამისად ფუნქციონირების საშუალება ჰქონდეს.

ეს არის ინსტიტუტი, რომელშიც ევროკავშირმა დიდი ძალისხმევა და ფინანსები ჩადო იმისთვის, რომ მისი გაძლიერებისთვის შეგვეწყო ხელი. ამასთან დაკავშირებით შეშფოთება გამოხატა არა მხოლოდ ევროკავშირმა, არამედ შეერთებულმა შტატებმაც, გაერომ და ევროპის საბჭომ, — განაცხადა კარლ ჰარცელმა.

## „ვიდეომასალაში აღბეჭდილი არც ერთი პირი არ არის ბერად აღკვეცილი“ საპატრიარქოს განცხადება



საქართველოს საპატრიარქოს განცხადებით, სოციალურ ქსელში გავრცელებულ, სამონაზვნო პირებს შორის დაპირისპირების ამსახველ ვიდეომასალაში ფიგურანტი არც ერთი პირი ბერად აღკვეცილი არ არის და ისინი მორჩილები არიან.

ამის შესახებ საპატრიარქო განცხადებას ავრცელებს და აღნიშნავს, რომ ეკლესიის სახელით ჩადენილი მსგავსი ქმედებები აბსოლუტურად მიუღებელი, არაქრისტიანული და ამორალურია.

„სოციალურ ქსელში გავრცელდა ძალადობის ამსახველი ვიდეომასალა, რომელშიც ჩანს, თუ როგორ აყენებს ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას ერთი სამონაზვნო პირი მეორეს.

უპირველესად, აღვნიშნავთ, რომ ეს ფაქტი ყოველგვარ ზნეობრივ თუ ეთიკურ საზღვრებს სცილდება და მიუღებელია როგორც ქრისტიანული, ისე მორალური და ადამიანური თვალსაზრისით, მით უმეტეს, რომ ვიდეომასალაში ადამიანები საბერო შესამოსლით არიან წარმოდგენილნი.

აღნიშნული ვიდეოს გავრცელებისთანავე საქართველოს საპატრიარქომ დაიწყო ფაქტის გადამოწმება და შესაბამისი რეაგირება. ამ ეტაპზე არსებული ინფორმაციით, ვიდეომასალაში ასახული არც ერთი პირი არ არის ბერად აღკვეცილი და ისინი მორჩილები არიან.

დეტალების დაზუსტების მიზნით ამჟამად მიმდინარეობს აქტიური კომუნიკაცია შესაბამის ეპარქიასთან, რის შემდეგაც საზოგადოებას ზუსტ და ამომწურავ ინფორმაციას მივაწვდით ამ უზნეო და ყოვლადმიუღებელი ფაქტის შესახებ.

ამასთან, კიდევ ერთხელ გარკვევით და ერთმნიშვნელოვნად აღვნიშნავთ, რომ ეკლესიის სახელით ჩადენილი მსგავსი ქმედებები აბსოლუტურად მიუღებელი, არაქრისტიანული და ამორალურია, უზნეობის გამოხატულებაა, ის აზარალებს და ბილწავს ეკლესიის სახელსა და სიწმინდეს“ — ნათქვამია საპატრიარქოს განცხადებაში.

გავრცელებულ ვიდეოში ნახსენებია ფერისცვალების ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი შალვა კეკელია. დეკანოზი ვერ აკონკრეტებს მოძალადე სასულიერო პირის ვინაობას, თუმცა იხსენებს, რომ ის მასთან რამდენიმე თვის წინ იმყოფებოდა და მოყვა თვითმარქვია ბერის შესახებ, რომელიც არის ძალადობის მსხვერპლი გავრცელებულ ვიდეოში.

დეკანოზი შალვა კეკელია ამბობს, რომ პირთან 2019 წელს ჰქონდა შეხება, როდესაც ის სასულიერო სემინარიაში, თავისუფალ მსმენელად ესწრებოდა ლექციებს, თუმცა, რამდენიმე ინციდენტის შემდეგ, ეპისკოპოსებმა ბერი დასაჯეს, გახადეს კაბა და მონასტერში, ცოდვების მონანიების მიზნით გაუშვეს.

მიუხედავად ამისა, ის არ დაემორჩილა სასულიერო პირების გადაწყვეტილებას, სავარაუდოდ, სხვადასხვა ეპარქიებში გადაადგილდება და ეკლესიის სახელით, სხვადასხვა, ეკლესიისთვის მიუღებელ ქმედებებში არის ჩართული. დეკანოზი ვარაუდობს, რომ სწორედ მსგავსი ქმედება გახდა დაპირისპირების მიზეზი, რის გამოც ფიზიკური დაპირისპირება მოხდა. ის იხსენებს მსგავს ისტორიას:

— ვისაც სცემდნენ, იმის სურათი ჩამიგდეს, იცნობო, ნამდვილად ბერიაო? რომ დავინახე, ვთქვი, ამაზე ნუ მალაპარაკებთ-მეთქი, ეს არის საშინელი ადამიანი, უცუდესი ადამიანი არის-მეთქი; საიდან გაქვთ ეს სურათი-მეთქი და მეუბნება, მაშინ, თბილისიდან ქუთაისში ვბრუნდებოდიო, ქუჩაში ვნახე იდგა ბერიო, შემოსილიო, გავუჩერე მანქანა, წავიყვანე ქუთაისში, დასარჩენი არ ჰქონდა და წავიყვანე სახლშიო. გავუმასპინძლდი და დავწექითო. ღამე შემოდის ჩემთან ოთახშიო (ის, ვისაც სცემენ), რადგან წამიყვანე, პატივი მეცი, გამიმასპინძლდი, მეც პატივი უნდა გცეო, და ეუბნება ძალიან ცუდ რამეს, ეს უნდა გაგიკეთოო, საშინელებაა, — აცხადებს დეკანოზი.

ბერთან დაკავშირებით ეკლესიისთვის მიუღებელ ქმედებებზე საუბრობენ რუის-ურბნისის ეპარქიაში — სწორედ აქ მსახურობდა სასულიერო პირი წლების განმავლობაში და, ეპისკოპოსების გადაწყვეტილებით, ცოდვების მონანიების მიზნით, სწორედ ამ ეპარქიაში გამწესდა.

იმ ტაძრის წინამძღვარი, სადაც ბერი წლების განმავლობაში მსახურობდა, ამბობს, რომ ამ ეტაპზე მას სასულიერო პირის სტატუსი შეჩერებული აქვს, თუმცა ის კვლავ გადაადგილდება სასულიერო შესამოსელით და ეკლესიის სახელით მოქმედებს.

— მამა პიროსი არ არის სასულიერო პირი, არც ის მეორეა სასულიერო პირი, ამას მინდა ხაზი გავუსვა. ჩემთვის, როგორც მღვდლისთვის, ის ქმედება, რასაც ამბობენ, არის მიუღებელი, თუმცა იმსახურებდა ეკლესიის გაბდას. ბოლოს როცა იყო ჩემთან, ერთი თვის უკან, ვუთხარი, რომ ჩემგან ნუღარ ელი ნურაფერს, იმიტომ, რომ არ მემოწონებიან, არ გეშველება, — აცხადებს იღუმენი თეოდოსი.

## ცხელი ხაჭაპურის რიგში დაღლილმა პოლიციელმა 3 ახალგაზრდას სცემა და ესროლა

„ნოდარ მელაძის შაბათის“ ჟურნალისტის ინფორმაციით, თბილისში, ფონიჭალაში მდებარე პურ-ფუნთუშეულის საცხობთან დაპირისპირება მოხდა — კრიმინალური პოლიციის თანამშრომელმა, შინაგან საქმეთა სამინისტროს კუთვნილი იარაღიდან სამ ახალგაზრდას ცეცხლი გაუხსნა. ადგილი ჰქონდა ფიზიკურ ანგარიშსწორებასაც. ფონიჭალელი ახალგაზრდები, რომლებიც ახლა დაკავებულები არიან, ირწმუნებიან, რომ 46 წლის თამაზ საველიევს ხაჭაპურის რიგში დიდი ხანი დგომა დაეზარა და მის წინ მდგარ ახალგაზრდებს აგინა, რასაც ადგილზე ფიზიკური დაპირისპირება მოყვა.

„საცხობში, სამი ხაჭაპური შევუკვეთე, მომაწოდა გამყიდველმა, მაგრამ იყო ცივი და ვთხოვე, გათბობა, რა დროსაც შელაპარაკება მომივიდა გამყიდველთან. იქვე იდგა ჩემთვის უცნობი მამაკაცი, ის მოგვიახლოვდა და ხმამაღალი ტონით გვითხრა: „რამდენი ხანი უნდა გელოდოთ, შიგ ხომ არ გაქვთ ბიჭოო?“...მე მას მივუახლოვდი და ვკითხე – „ეს რა საუბარია, შენ ვინ ხარ ბიჭო?“ მან მიპასუხა — „შენ ვინ ხარ, შენი დედას შ..ცი“ და შემაგინა დედის მისამართით, შეგინებისთანავე მე მას ერთხელ დავარტყი სახის არეში, რის შემდეგაც იქვე მყოფმა ჩემმა ძმამ რუსლანი ქერიმოვმა და ჩემმა დეიდაშვილმა, ჯუმბერ მამედოვმა გაგვაშველეს, ის კვლავ იგინებოდა ჩემი მისამართით და მაგინებდა დედას, იწევდა ჩემკენ და ცდილობდა ფიზიკური შეურაცხყოფის მოყენებას“ – ყვება პოლიციისთვის მიცემულ ჩვენებაში იახაია ქერიმოვი. ირკვევა, რომ საკონდიტროსთან მომხდარი დაპირისპირების შემდეგ, იახაია და რუსლან ქერიმოვებმა ჯუმბერ მამედოვთან ერთად, შემთხვევის ადგილი ავტომანქანით დატოვეს. ისინი სახლში, რუსთავის გზატკეცილის გავლით ბრუნდებოდნენ, თუმცა მოულოდნელად, ქვემო ფონიჭალის გზაზე მოვლენები კრიმინალური ფილმის სცენარით განვითარდა. დეტექტივი თამაზ საველიევი ახალგაზრდებს დაედევნა და დიდი სისწრაფით მიმავალი ავტომობილიდან ესროდა. რუსთავის გზაზე ხალხით სავსე ავტომობილს პოლიციელმა 5-ჯერ ესროლა.

„მოგვდევდა, გვინათებდა შუქებს და გვისიგნალებდა, მას უნდოდა ჩვენი გაჩერება. რომ არ გავჩერდით, რამდენჯერმე მოახდინა გასროლა. დავინახე, რომ მას მარცხენა ხელი ჰქონდა გამოყოფილი შუშიდან და ახორციელებდა გასროლას. მე იარაღის დანახვისთანავე თავი ჩავყავი სალონში, რამდენი გასროლა მოახდინა, არ ვიცი ზუსტად, მაგრამ სავარაუდოდ, მან განახორციელა 4-5 გასროლა. როდესაც დავინახეთ, რომ ის უკან მოგვდევდა, ჯუმბერ მამედოვმა მარცხნივ გადაუხვია, რითაც ჩვენი საცხოვრებელი სახლის გზას ავცდით და გავექეცით“ — წერია კიდევ ერთი დაკავებულის ჩვენებაში.

# ზელენსკი: „უკრაინა გადახედავს ბირთვულ შეიარაღებაზე უარის თქმის ხელშეკრულებას“

უკრაინის პრეზიდენტი ვლადიმერ ზელენსკი მიუნხენის კონფერენციაზე გამოვიდა ინიციატივით და განაცხადა, რომ ის იწვევს მოლაპარაკებების მაგიდასთან ბუდაპეშტის მემორანდუმის მონაწილეებს.



ამ მემორანდუმით, უკრაინა უარს აცხადებდა თავის წილ ბირთვულ შეიარაღებაზე, ხოლო მისი უსაფრთხოების გარანტად დგებოდნენ აშშ, ბრიტანეთი და რუსეთი.

– მე გამოვდივარ ინიციატივით, დაიწყოს კონსულტაციები ბუდაპეშტის მემორანდუმის ჩარჩოებში. მისი მოწვევა უკვე დაევალა ჩემი მხრიდან უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრს და თუ კვლავ ეს კონსულტაციები არ შედგება, მაშინ მივიჩნევთ, რომ ეს მემორანდუმი აღარ არის გარანტია უკრაინის უსაფრთხოებისთვის.

ამის შემდეგ უკრაინის სახელმწიფოს ექნება სრული უფლება, მიიჩნიოს, რომ ბუდაპეშტის მემორანდუმი არ მუშაობს და ყველა გადაწყვეტილება, მიღებული 1994 წელს, ეჭვქვეშ დადგება, – განაცხადა უკრაინის სახელმწიფოს მეთაურმა მიუნხენის კონფერენციაზე. ცნობისათვის, ბუდაპეშტის მემორანდუმი ავალდებულებდა უკრაინას, უარი ეთქვა ატომურ შეიარაღებაზე, ხოლო სხვა მონაწილეებს – აშშ-ს, რუსეთს და ბრიტანეთს, ვალდებულს ხდიდა, ყოფილიყვნენ გარანტორები უკრაინის სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის.

# დონეცკიდან და ლუგანსკიდან რუსეთში 61.000 დევნილი გადავიდა

დონეცკისა და ლუგანსკის თვითგამოცხადებული რესპუბლიკებიდან რუსეთის ფედერაციის საზღვარი 61.000-მდე დევნილმა გადაკვეთა.



ამის შესახებ რუსეთის ფედერაციის საგანგებო სიტუაციების სამინისტროს უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ალექსანდრე ჩუპრიანმა ჟურნალისტებს განუცხადა. დონბასში სიტუაცია ბოლო დღეების განმავლობაში მნიშვნელოვნად დაიძაბა. უკრაინის შეიარაღებულ ძალებში აცხადებენ, რომ საოკუპაციო ძალები ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმს ინტენსიურად არღვევენ, მათ შორის მინსკის შეთანხმებებით აკრძალული იარაღის გამოყენებით. ოკუპირებული დონეცკისა და ლუგანსკის სეპარატისტული მთავრობები ცეცხლის გახსნაში უკრაინის შეიარაღებულ ძალებს ადანაშაულებენ და ირწმუნებიან, რომ დასახლებულ პუნქტებში განხორციელებული დაბომბვის შედეგად მშვიდობიანი მოქალაქეები დაიღუპნენ.

# ერ ფრანსმა კიევის მიმართულებით რეისები გააუქმა



ავიაკომპანია ერ ფრანსმა კიევის მიმართულებით 22 თებერვლისთვის დაგეგმილი 2 რეისი გააუქმა. მედიის ინფორმაციით, კომპანიაში აცხადებენ, რომ გადაწყვეტილება „გეოპოლიტიკურ სიტუაციაზე“ დაკვირვების შედეგად, რუსეთის მიერ უკრაინაში მოახლოებული შეჭრის საპასუხოდ, პრევენციის სახით მიიღეს.

უკრაინის ინფრასტრუქტურის მინისტრმა, ალექსანდრე კუბრაკოვმა განაცხადა, რომ ათმა ავიაკომპანიამ ფრენების განრიგი შეცვალა, თუმცა მისი მტკიცებით, უკრაინაში ფრენა უსაფრთხოა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# საქართველოსთვის პეკინი წარმატებული გამოდგა

პეკინის ზამთრის 24-ე ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს დელეგაციის გამოსვლა მეტნაკლებად დადებითად უნდა შევაფასოთ.

პირველ ყოვლისა, ეს ფიგურულ მოციგურავეთა ასპარეზობაზე უნდა ითქვას. დავიწყოთ გუნდური შეჯიბრით, სადაც საქართველო იმ 10 ქვეყანაში მოხვდა, რომლებიც მედლებისთვის იბრძოდნენ.

თავისთავად, ეს უკვე წარმატებაა, რადგან სტანდარტული ზომის ყინულის მოედნის არმქონე საქართველომ ძალიან ბევრ მძლავრ ქვეყანას აჯობა. გუნდურში საქართველო მე-6 ადგილზე გავიდა. ისიც იმიტომ, რომ ფინალში გასასვლელ ხუთეულში ჩინეთმა ჩვენებს დამატებითი მაჩვენებლით აჯობა, თორემ ქულები ერთნაირი იყო.

აღსანიშნია ისიც, რომ მსაჯთა სწორი გადაწყვეტილების შემთხვევაში, ჩვენი გუნდი ფინალში მე-4 ადგილით შევიდოდა. ხოლო, თუ რუს კამილა ვალიევას დოპინგის მიღება დაუმტკიცდება, ბრინჯაოს მედლის მოპოვება სავსებით რეალური იქნებოდა.

მსაჯების გადაწყვეტილების გაკრიტიკება ქართული პატრიოტიზმითა და სუბიექტურობით არ მოგვდის – ამის შესახებ თვით „ევროსპორტის“ კომენტატორიც საუბრობდა.

– ფინალში გამსვლელი ოთხეული ფაქტობრივად გარკვეულია, მე-5 საგზურისთვის კი, სავარაუდოდ, 3 ნაკრები იბრძოლებს: იტალია



(18 ქულა), კანადა (16) და საქართველო (15). თითქოს უცნაურია, თუმცა, ამ ფონზე საქართველოს ცუდი შანსი ნამდვილად არ აქვს. ქალთა პროგრამაში მათი ანასტასია გუბანოვა იტალიელ ლარა ნაკი გუტმანსაც სჯობია და კანადელ მედელინ შიზასაც. ახლა ვხვდებით, რით იყო განპირობებული უცნაური შედეგები წყვილთა ციგურაობაში. მურ-ტაუერსი და მარინარო უკეთ ნამდვილად არ გამოსულან, ვიდრე – საფინა და ბერულავა. ხედავთ, რა ხდება? წესით, ახლა საქართველო კანადას უნდა უსწრებდეს, მაგრამ, როგორც ჩანს, ფინალში ყველას კანადის ხილვა უჯობს. ოლიმპიადაზე ფიგურულ სრიალში შეჯიბრი სულ ახლახან დაიწყო, მაგრამ მსაჯების ქმედება უკვე ბევრ კითხვას ბადებს.

ახლა პირადი: საფინა-ბერულავას წყვილმა სადებიუტო ოლიმპიურ თამაშებზე მოკლე პროგრამაში მე-9, ხოლო თავისუფალში მე-8 ადგილი დაიკავა. ორივე პროგრამის ჯამში კი ოლიმპიური თამაშები მე-9 ადგილით დაასრულეს. ეს ზამთრის თამაშებზე საქართველოს საუკეთესო შედეგია.

ათეულში მოხვდნენ მორის ყვითელაშვილი და ანასტასია გუბამოვა. ორივე მე-10 ადგილს დასჯერდა. ხოლო მარია კაზაკოვასა და გიორგი რევიას წყვილმა ყინულზე ცეკვებში მე-19 ადგილი დაიკავა. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მოციგურავეთა ნაკრები პეკინის თამაშებზე კონკურენტუნარიანი გუნდით ჩავიდა.

პეკინის ოლიმპიადა მეოთხე იყო სამთო მოთხილამურე ნინო წიკლაურისთვის, რომელიც ამ მხრივ საქართველოს რეკორდსმენია. წიკლაური გიგანტურ სლალომში 34-ე გახლდათ, სლალომში 42-ე.

სოსო ჯაფარიძეს ოლიმპიურ თამაშებზე დებიუტი ჰქონდა. ჩვენებურმა სლალომში 32-ე ადგილი დაიკავა, გიგანტურ სლალომში კი პირველი დაშვებისას დაეცა და შეჯიბრებას გამოეთიშა.

ციგაობაში 21 წლის საბა ქუმარიტაშვილმა იასპარეზა და ოლიმპიადაზე 31-ე ადგილს დასჯერდა.

მომდევნო თამაშები 2026 წელს მილანში გაიმართება.

# ბასილაშვილი დაწინაურდა და მეტოქე შეეცვალა

დოჰას 250-ქულიანი კატეგორიის ფინალში ნიკოლოზ ბასილაშვილი ტიტულის დასაცავად რობერტო ბაუტისტა აგუტის დაუპირისპირდა და 2 სეტში – 3:6 4:6 დამარცხდა.



საქართველოს პირველმა ჩოგანმა ტიტულის დაცვა ვერ შეძლო და ამისთვის რეიტინგში 100 ქულა დააკლდა. თუმცა, ატპ-ს ახალ რეიტინგში ბასილაშვილმა 3 პოზიცია მაინც მოიგო. ამ ეტაპზე, 29 წლის ჩოგბურთელი საუკეთესო ოცეულშია და მე-19 ადგილს იკავებს. აღსანიშნავია, რომ ბასილაშვილის პირად რეკორდს მე-16 პოზიცია წარმოადგენს, რომელსაც 2019 წლის მაისში მიაღწია.

ამასობაში საქართველოს პირველი ჩოგანი არაბთა გაერთიანებულ საემიროებში დაგეგმილ საერთაშორისო ტურნირზე იასპარეზებს, რომლის საპრიზო ფონდი 2.949.665 დოლარია.

ცნობილი იყო, რომ ბასილაშვილისთვის ტურნირი საკმაოდ რთული შეხვედრით დაიწყებოდა და პირველ წრეში მისი მეტოქე ფელიქს ოჟე-ალიასიმი იქნებოდა, რომელიც ტურნირზე მე-3 ნომრად გახლდათ განთესილი. თუმცა, გაირკვა, რომ 29 წლის ქართველი ჩოგბურთელი ტურნირს ოჟე-ალიასიმთან შეხვედრით აღარ დაიწყებს, რადგან კანადელს ზურგი აწუხებს. ბასილაშვილის მეტოქე „იღბლიანი სტატუსით“ ამოსული ავსტრალიელი ალექსეი პოპირინი იქნება.

ინფორმაციისთვის იმასაც გეტყვით, რომ ტურნირზე პირველ ნომრად სერბი ნოვაკ ჯოკოვიჩია განთესილი.

## კალეიდოსკოპი

### მამაკაცს მეექვსე გრძნობა დაეხმარა გამდიდრებაში

ამერიკის მერილენდის შტატის ქალაქ ბელ-ეირის მკვიდრი მას შემდეგ გამდიდრდა, როდესაც საკუთარ მეექვსე გრძნობას ენდო, მაღაზიაში სახლის შესაკეთებლად საჭირო საქონლის შესაძენად ყოფნის დროს.

44 წლის მამაკაცმა განაცხადა, რომ მან ოჯახთან ერთად თავისი პირველი სახლი შეიძინა და მის შეკეთებას შეუდგა. ამერიკელი მაღაზიაში საღებავების და სხვა სამშენებლო საქონლის შესაძენად იმყოფებოდა და გზად ღვინის ჯიხურში შეიარა. მისი ყურადღება მიიპყრო მომენტალური ლატარიის გათამაშების ბილეთებმა. მას ინტუიციამ უკარნახა, რომ გაუმართლებდა და ამიტომ გადაწყვიტა, გათამაშებაში მიეღო მონაწილეობა.

სახლში დაბრუნებულმა ბილეთი ამოიღო და დამცავი ფენა გადაფხიკა. აღმოჩნდა, რომ მან ჯეკპოტი 100 ათასი დოლარი მოხსნა.



– ცოლი სიხარულისგან ატირდა, მე კი მაშინვე დავურეკე ჩვენ გოგონებს და მოგების შესახებ ვუთხარი, – განაცხადა ლატარიის გამარჯვებულმა, რომელიც მოგებული თანხით სახლის კიდევ უფრო კარგად შეკეთებას და ყველა საჭირო მოწყობილობით აღჭურვას გეგმავს.

### საფარი-პარკში გეპარდი ჩვილს თავს დაესხა

ბრიტანეთის ვუსტერშირის საგრაფოს ქალაქ ბიუდლის საფარი-პარკ ვესტმიდლენდში გეპარდი შეეცადა თავს დასხმოდა ბავშვს. ამის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.



ვიდეოჩანაწერში ჩანს, თუ როგორ იყურება შვიდი თვის ბავშვი, სახელად ოტო, საფარის მონაწილეთა სახლის დიდ ფანჯარაში. რამდენიმე წამში ფანჯრის მეორე მხრიდან მასზე თავდასხმას ცდილობს გეპარდი.

თავდასხმა უშედეგოდ დასრულდა. მტაცებელმა ვერ მოახერხა დაჯავშნული მინის დაძლევა და უკან გადავარდა. ამის შემდეგ ცხოველი შეტრიალდა და ბავშვს შეხედა, იმ დროს, როდესაც ოტოს მამა ბენ მილნერი იდგა და მომხდარს მობილური ტელეფონით იღებდა.

### ზვიგენმა ნავი მგზავრებთან ერთად ათრია



ახალი ზელანდიის ქალაქ ოკლენდის მახლობლად ზვიგენი წყალქვეშა კამერით დაინტერესდა და შემთხვევით ნავი მის მგზავრებთან ერთად გაიტაცა.

ავსტრალიელი სკოტ ტინდეილის თქმით, ის მეუღლე სიუსთან ერთად ნავით სეირნობდა. მათ სურდათ, რომ წყლის სიღრმეში ჩაეშვათ ვიდეო კამერა და წყალქვეშა ცხოვრება გადაეღოთ. იმ მომენტისთვის, როდესაც კამერა ჩაირთო, მის გვერდით გამოჩნდა დიდი თეთრი ზვიგენი. მტაცებელმა გადაწყვიტა, გემო გაესინჯა ამ უცხო საგნისთვის და მის გადაყლაპვას შეეცადა. ვინაიდან კამერა მიმაგრებული იყო ნავზე, ის ნავთან ერთად გაათრია და დაახლოებით 15 მეტრი ატარა.

ტინდეილის შეფასებით, მტაცებელი თევზის სიგრძე დაახლოებით 2,5 მეტრს, ხოლო ასაკი ოთხ-ხუთ წელს შეადგენდა. აღსანიშნავია, რომ ახალ ზელანდიაში 2007 წლიდან დიდ თეთრ ზვიგენებს კანონი იცავს.

### ბავშვებმა ნიანგისგან თავი ხეზე აძრომით გადაირჩინეს



ავსტრალიის კვინსლენდის შტატის ქალაქ კოვანიამაში ბავშვები იძულებულები გახდნენ ხეზე ამძვრალიყვნენ და მშველელისთვის მოეხმოთ, რათა თავი გადაერჩინათ უზარმაზარი ნიანგისგან, რომელიც მათ დაედევნა. 11-დან 14 წლამდე ასაკის რვა ბავშვი მდინარე მაგნიფისენტ-კრიკის მახლობლად თამაშობდა. მოულოდნელად მათ ხუთმეტრიანი ნიანგი მიუახლოვდა. მტაცებელი რეპტილიისგან თავის გადასარჩენად ბავშვები ხეზე აძვრნენ. მათი ყვირილი ერთ-ერთმა გამვლელმა გაიგონა და პოლიცია გამოიძახა. სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები შემთხვევის ადგილზე მივიდნენ და ხეზე მყოფ ბავშვებს სპეციალური მიკროფონით მიმართეს. თავდაპირველად მათ იფიქრეს, რომ ბავშვებმა ნიანგის თაობაზე იხუმრეს, თუმცა მალევე მიხვდნენ, რომ ისინი საკმაოდ შეშინებულები იყვნენ. პოლიციელებმა ბავშვების ადგილიდან გასაყვანად ადგილობრივი მცხოვრებისგან ნავი ითხოვეს. როდესაც ბავშვების ჩამოყვანას შეუდგნენ, უზარმაზარი რეპტილია ისევ გამოჩნდა. საბოლოოდ სამართალდამცავებმა მათი გადარჩენა მაინც მოახერხეს.

### სტუდენტ გოგონას სექსზე ალერგია აღმოაჩნდა



ამერიკის კოლორადოს შტატის მცხოვრებმა განაცხადა, რომ მას უიშვიათესი სექსზე ალერგია დაუდგინეს. 18 წლის სტუდენტმა გოგონამ ქლოე ლოუერიმ პირველად იეჭვა, რომ ალერგია ჰქონდა სპერმაზე, როდესაც ორალური სექსის დროს აუტანელი ტკივილი იგრძნო, ხოლო სახეზე ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოსდა კბილის ექიმთან იმყოფებოდა. მეორე სექსუალური კონტაქტის შემდეგ გოგონას სახე გაუშეშდა.

– ჩემი სახის მარჯვენა მხარე გამიშეშდა, ტუჩების გატოკებასაც კი ვერ ვახერხებდი საკუთარი ემოციების გადმოსაცემად. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს კბილის ექიმს ანესთეზია ჰქონდა ჩემთვის გაკეთებული, – განმარტა გოგონამ.

ექიმებმა ლოუერის აცნობეს, რომ ტკივილი და კანის სიწითლე გამოწვეულია სპერმის მიმართ ჰიპერმგრძნობელობით. აღმოჩნდა, რომ მას ალერგიული რეაქცია აქვს ცილებზე, რომელსაც სპერმა შეიცავს.

### არალეგალური სამხეცის ბინადარმა ლომმა ადამიანი იმსხვერპლა

საუდის არაბეთის ქალაქ ბურაიდაში ხელისუფლების წარმომადგენლებმა აღმოაჩინეს ძუ ლომი, რომელიც არალეგალურ სამხეცეში ბინადრობდა და რომელმაც ამ დაწესებულების თანამშრომელი მოკლა.

გარეული ბუნების დაცვის ეროვნულ ცენტრში განაცხადეს, რომ მიიღეს შეტყობინება იმის თაობაზე, რომ ველური ბუნების პარკში, რომელიც ქალაქ ბურაიდაში მდებარეობს, ბინადრობენ გარეული ცხოველები, მათ შორის, მტაცებლები. ამის შესახებ მას შემდეგ გახდა ცნობილი, როდესაც ძუ ლომი თავს დაესხა ადამიანს და მოკლა. ის თუ რა გარემოებაში მოხდა აღნიშნული თავდასხმა, უცნობია. ცენტრის სპეციალისტებმა და ბუნების დაცვის სამინისტროს ჩინოსნებმა პოლიციელებთან ერთად აღმოაჩინეს და დაიჭირეს გარეული ცხოველები, მათ შორის ლომი, მგელი, ასევე სხვა ძუძუმწოვრები, ფრინველები და რეპტილიები. ჩამორთმეული ცხოველები საგანგებო ცენტრში გადაიყვანეს, სადაც ისინი ვეტერინარების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებიან.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## განცხადებები

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე მისვლით. კეთდება მხოლოდ იტალიური და იაპონური მოსახსნელი კბილის პროთეზები. გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

# ბათუმის დინამო საქართველოს სუპერთასის მფლობელია

**დინამო (ბთ)-საბურთალო 0:0 (7:6პ)**

**ქუთაისი. რამაზ შენგელია**

**პენალტების სერია:** 1:0 მამუჩაშვილი; 1:1 შ.ნონიკაშვილი; 2:1 კობახიძე; 2:1 ქავთარაძე (მეკარე); 2:1 გაფრინდაშვილი (ააცილა); 2:2 სიხარულიძე; 3:2 ფლამარიონი; 3:3 ჯგერენაია; 4:3 ლობჯანიძე; 4:4 გოჩოლეიშვილი; 5:4 ფალავანდიშვილი; 5:5 ლაცაბიძე; 6:5 აზაროვი; 6:6 კაკუბავა; 6:6 ბიძინაშვილი (მეკარე); 6:6 გოშაძე (მეკარე); 7:6 ანანიძე; 7:6 იაშვილი (მეკარე)

**დინამო (ბთ):** კუპატაძე, აზაროვი, აზაცკი, კობახიძე, მამუჩაშვილი, ტეიდი (ბიძინაშვილი 73), ალთუნაშვილი (ანანიძე 78), ზარია (ფლამარიონი 55), გაფრინდაშვილი, ჯილაური (ფალავანდიშვილი 55), ფანცულაია (ლობჯანიძე 73)

**საბურთალო:** გოშაძე, უბილავა, კაკუბავა, ჯგერენაია, ლაცაბიძე, შ. ნონიკაშვილი, ქარდავა, ლ. ნონიკაშვილი (ქავთარაძე 78)ს, ტაბატაძე (სიხარულიძე 64), გოჩოლეიშვილი, გულიაშვილი (იაშვილი 93)



ბათუმის დინამო 2022 წლის საქართველოს სუპერთასის გამარჯვებულია. გასული სეზონის ჩემპიონმა თასის მფლობელი საბურთალო პენალტების სერიაში დაამარცხა და ახალი სეზონი ტიტულით დაიწყო.

თამაშს რაც შეეხება, ვერ ვიტყვით, რომ ხარისხიანი იყო. პირველი ტაიმი ისეთი ულიმღამო გამოდგა, გუნდებს საგოლე მომენტიც კი არ შეუქმნიათ. პირველი კარში დარტყმა 55-ე წუთზე შედგა.

მე-2 ტაიმი შედარებით უკეთესი იყო და ეს ზღვისპირელთა დამსახურება უფროა. დინამო გააქტიურდა და ანგარიშის გახსნასთან ორჯერ იყო ახლოს. 55-ე წუთზე თორნიკე გაფრინდაშვილმა ხელსაყრელი პოზიციიდან დაარტყა, მაგრამ მეკარემ აჯობა, ხოლო 5 წუთის შემდეგ კარს ოდნავ ააცილა.

საბურთალომ პირველი მეტნაკლებად სახიფათო მომენტის შექმნა მხოლოდ 70-ე წუთზე მოახერხა, როდესაც შორი მანძილიდან გიორგი ჯგერენაიამ დაარტყა, მაგრამ ბათუმელთათვის საგანგაშო არაფერი მომხდარა.

შეხვედრა უგოლოდ დასრულდა და სუპერთასის მფლობელი პენალტების სერიაში გაირკვა.

აქ უკვე ნამდვილი დრამა დატრიალდა: გუნდებმა 8-8 პენალტი დაარტყეს, მატჩის გმირი კი ლაზარე კუპატაძე გახდა, რომელმაც ნოდარ ქავთარაძეს, ოთო გოშაძესა და ნოდარ იაშვილის მიერ 11 მეტრიდან დარტყმული ბურთები მოიგერია.

ისიც უნდა ვთქვათ, რომ მატჩის გმირად გახდომა კუპატაძის ვიზავის, ოთო გოშაძესაც შეეძლო, როდესაც 6:6-ზე გუნდისთვის ტიტული მოტანა შეეძლო, მაგრამ კუპატაძემ აჯობა, შემდეგ ჯანო ანანიძემ ზღვისპირელები დააწინაურა და ბოლოს ლაზარემ იაშვილის დარტყმაც მოიგერია.

დინამომ საქართველოს სუპერთასი ისტორიაში მეორედ მოიგო.

ახლა ეროვნული ჩემპიონატის დაწყებას ველოდებით, რომლის პირველი ტური 25 თებერვალს დაიწყება.

# შედეგები

## 20 თებერვალი

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ლიდსი-მანჩესტერი ....... 2:4
ვულვზი-ლესტერი ....... 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 26 | 20 | 3 | 3 | 63-17 | 63 |
| 2.ლივერპული | 25 | 17 | 6 | 2 | 64-20 | 57 |
| 3.ჩელსი | 25 | 14 | 8 | 3 | 49-18 | 50 |
| 4.მანჩესტერი | 26 | 13 | 7 | 6 | 44-34 | 46 |
| 5.ვესტ ჰემი | 26 | 12 | 6 | 8 | 45-34 | 42 |
| 6.არსენალი | 23 | 13 | 3 | 7 | 36-26 | 42 |
| 7.ვულვზი | 24 | 12 | 4 | 8 | 23-18 | 40 |
| 8.ტოტენჰემი | 23 | 12 | 3 | 8 | 31-31 | 39 |
| 9.ბრაიტონი | 25 | 7 | 12 | 6 | 25-28 | 33 |
| 10.საუთჰემპტონი | 25 | 7 | 11 | 7 | 32-37 | 32 |
| 11.ლესტერი | 23 | 7 | 6 | 10 | 37-43 | 27 |
| 12.ასტონ ვილა | 24 | 8 | 3 | 13 | 31-37 | 27 |
| 13.კრ.პალასი | 25 | 5 | 11 | 9 | 32-36 | 26 |
| 14.ბრენტფორდი | 26 | 6 | 6 | 14 | 27-42 | 24 |
| 15.ლიდსი | 24 | 5 | 8 | 11 | 29-50 | 23 |
| 16.ევერტონი | 23 | 6 | 4 | 13 | 28-40 | 22 |
| 17.ნიუკასლი | 24 | 4 | 10 | 10 | 26-45 | 22 |
| 18.უოტფორდი | 24 | 5 | 3 | 16 | 24-43 | 18 |
| 19.ბარნლი | 22 | 2 | 11 | 9 | 20-29 | 17 |
| 20.ნორვიჩი | 25 | 4 | 5 | 16 | 15-53 | 17 |

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ბაიერნი-ფიურტი ....... 4:1
დორტმუნდი-გლადბახი ....... 6:0
ჰერტა-ლაიფციგი ....... 1:6

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 23 | 18 | 1 | 4 | 74-26 | 55 |
| 2.დორტმუნდი | 23 | 16 | 1 | 6 | 63-36 | 49 |
| 3.ლევერკუზენი | 23 | 12 | 5 | 6 | 60-39 | 41 |
| 4.ლაიფციგი | 23 | 11 | 4 | 8 | 49-28 | 37 |
| 5.ჰოფენჰაიმი | 23 | 11 | 4 | 8 | 45-35 | 37 |
| 6.ფრაიბურგი | 23 | 10 | 7 | 6 | 36-26 | 37 |
| 7.კიოლნი | 23 | 9 | 8 | 6 | 35-37 | 35 |
| 8.მაინცი | 23 | 10 | 4 | 9 | 34-26 | 34 |
| 9.უნიონი | 23 | 9 | 7 | 7 | 29-31 | 34 |
| 10.აინტრახტი | 23 | 8 | 7 | 8 | 33-35 | 31 |
| 11.ბოხუმი | 23 | 8 | 5 | 10 | 25-33 | 29 |
| 12.ვოლფსბურგი | 23 | 8 | 3 | 12 | 24-35 | 27 |
| 13.გლადბახი | 23 | 7 | 5 | 11 | 30-46 | 26 |
| 14.არმინია | 23 | 5 | 10 | 8 | 22-29 | 25 |
| 15.ჰერტა | 23 | 6 | 5 | 12 | 25-51 | 23 |
| 16.აუგსბურგი | 23 | 5 | 7 | 11 | 25-40 | 22 |
| 17.შტუტგარტი | 23 | 4 | 7 | 12 | 27-43 | 19 |
| 18.ფიურტი | 23 | 3 | 4 | 16 | 21-61 | 13 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

დარმშტადი-ჰანზა ....... 1:1
ზ.პაული-ჰანოვერი ....... 0:3
ფორტუნა-აუე ....... 3:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ესპანიოლი-სევილია ....... 1:1
ვალენსია-ბარსელონა ....... 1:4
ბეტისი-მალიორკა ....... 2:1
ბილბაო-სოსიედადი ....... 4:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 25 | 17 | 6 | 2 | 51-20 | 57 |
| 2.სევილია | 25 | 14 | 9 | 2 | 37-17 | 51 |
| 3.ბეტისი | 25 | 14 | 4 | 7 | 47-30 | 46 |
| 4.ბარსელონა | 24 | 11 | 9 | 4 | 42-28 | 42 |
| 5.ატლეტიკო | 25 | 12 | 6 | 7 | 45-34 | 42 |
| 6.ვილიარეალი | 25 | 10 | 9 | 6 | 42-24 | 39 |
| 7.სოსიედადი | 24 | 10 | 8 | 6 | 24-25 | 38 |
| 8.ბილბაო | 25 | 9 | 10 | 6 | 29-21 | 37 |
| 9.ოსასუნა | 25 | 8 | 8 | 9 | 25-30 | 32 |
| 10.სელტა | 24 | 8 | 7 | 9 | 28-25 | 31 |
| 11.რაიო | 24 | 9 | 4 | 11 | 28-29 | 31 |
| 12.ვალენსია | 25 | 7 | 9 | 9 | 37-42 | 30 |
| 13.ესპანიოლი | 25 | 7 | 8 | 10 | 30-35 | 29 |
| 14.ელჩე | 25 | 7 | 8 | 10 | 28-34 | 29 |
| 15.ხეტაფე | 25 | 6 | 8 | 11 | 24-28 | 26 |
| 16.მალიორკა | 24 | 6 | 8 | 10 | 23-38 | 26 |
| 17.გრანადა | 25 | 5 | 9 | 11 | 27-40 | 24 |
| 18.კადისი | 25 | 3 | 11 | 11 | 21-39 | 20 |
| 19.ალავესი | 25 | 5 | 5 | 15 | 19-42 | 20 |
| 20.ლევანტე | 24 | 2 | 8 | 14 | 24-50 | 14 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ფუენლაბრადა-ალკორკონი ....... 2:2
ბურგოსი-ოვიედო ....... 0:1
ხიხონი-პონფერადინა ....... 2:3
უესკა-ლუგო ....... 1:0
ალმერია-მირანდესი ....... 2:1

**იტალია. სერია ა**

ფიორენტინა-ატალანტა ....... 1:0
ვენეცია-ჯენოა ....... 1:1
ინტერი-სასუოლო ....... 0:2
უდინეზე-ლაციო ....... 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მილანი | 26 | 17 | 5 | 4 | 52-28 | 56 |
| 2.ინტერი | 25 | 16 | 6 | 3 | 55-22 | 54 |
| 3.ნაპოლი | 25 | 16 | 5 | 4 | 46-17 | 53 |
| 4.იუვენტუსი | 26 | 13 | 8 | 5 | 38-23 | 47 |
| 5.ატალანტა | 25 | 12 | 8 | 5 | 46-30 | 44 |
| 6.ლაციო | 26 | 12 | 7 | 7 | 53-40 | 43 |
| 7.რომა | 26 | 12 | 5 | 9 | 44-34 | 41 |
| 8.ფიორენტინა | 25 | 13 | 3 | 9 | 44-34 | 42 |
| 9.ვერონა | 26 | 10 | 7 | 9 | 49-42 | 37 |
| 10.ტორინო | 25 | 9 | 6 | 10 | 32-26 | 33 |
| 11.სასუოლო | 26 | 8 | 9 | 9 | 43-44 | 33 |
| 12.ემპოლი | 26 | 8 | 7 | 11 | 38-50 | 31 |
| 13.ბოლონია | 24 | 8 | 4 | 12 | 29-40 | 28 |
| 14.სამპდორია | 26 | 7 | 5 | 14 | 35-42 | 26 |
| 15.სპეცია | 25 | 7 | 5 | 13 | 27-46 | 26 |
| 16.უდინეზე | 24 | 5 | 10 | 9 | 31-41 | 25 |
| 17.ვენეცია | 25 | 5 | 7 | 13 | 23-44 | 22 |
| 18.კალიარი | 25 | 4 | 9 | 12 | 25-46 | 21 |
| 19.ჯენოა | 26 | 1 | 13 | 12 | 22-47 | 16 |
| 20.სალერნიტანა | 24 | 3 | 5 | 16 | 19-55 | 13 |

**იტალია. სერია ბ**

ბრეშა-ფროზინონე ....... 2:2
კომო-კოზენცა ....... 2:1
ლეჩე-კროტონე ....... 3:0
ჩიტადელა-ბენევენტო ....... 0:1

**საფრანგეთი. ლიგა 1**

ნიცა-ანჟე ....... 1:0
ლორიანი-მონპელიე ....... 0:1
რეიმსი-ბრესტი ....... 1:1
რენი-ტრუა ....... 4:1
სტ.ეტიენი-სტრასბური ....... 2:2
ბორდო-მონაკო ....... 1:1
მარსელი-კლერმონი ....... 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 25 | 18 | 5 | 2 | 53-22 | 59 |
| 2.მარსელი | 25 | 13 | 7 | 5 | 38-23 | 46 |
| 3.ნიცა | 25 | 14 | 4 | 7 | 37-21 | 45 |
| 4.სტრასბური | 25 | 12 | 6 | 7 | 48-31 | 42 |
| 5.რენი | 25 | 12 | 4 | 9 | 47-23 | 40 |
| 6.მონაკო | 25 | 10 | 8 | 7 | 38-27 | 38 |
| 7.ნანტი | 25 | 11 | 5 | 9 | 34-29 | 38 |
| 8.ლიონი | 25 | 10 | 9 | 6 | 34-31 | 38 |
| 9.მონპელიე | 25 | 11 | 4 | 10 | 39-34 | 37 |
| 10.ლანსი | 25 | 10 | 7 | 8 | 40-36 | 37 |
| 11.ლილი | 25 | 9 | 9 | 7 | 32-35 | 36 |
| 12.ბრესტი | 25 | 8 | 8 | 9 | 34-37 | 32 |
| 13.ანჟე | 25 | 7 | 8 | 10 | 30-36 | 29 |
| 14.რეიმსი | 25 | 6 | 10 | 9 | 28-29 | 28 |
| 15.კლერმონი | 25 | 7 | 6 | 12 | 26-41 | 27 |
| 16.სტ.ეტიენი | 25 | 5 | 7 | 13 | 26-47 | 22 |
| 17.ტრუა | 25 | 5 | 6 | 14 | 22-40 | 21 |
| 18.ლორიანი | 25 | 4 | 9 | 12 | 20-39 | 21 |
| 19.მეცი | 25 | 4 | 9 | 12 | 25-45 | 21 |
| 20.ბორდო | 25 | 4 | 9 | 12 | 37-62 | 21 |

**ნიდერლანდები. ერედივიზიონი**

ზვოლე-გრონინგენი ....... 1:1
ტვენტე-იგლზი ....... 2:2
ფეიენოორდი-კამბური ....... 3:1
პსვ-ჰერენვეენი ....... 3:1
უტრეხტი-ვიტესი ....... 1:1

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

მარიტიმუ-ფამილიკაო ....... 0:1
სპორტინგი-ეშტორილი ....... 3:0
მორეირენშე-პორტუ ....... 0:1
ტონდელა-ბრაგა ....... 0:1

**ბელგია. ა დივიზიონი**

ანტვერპენი-მეხელენი ....... 1:2
ეუპენი-ბრიუგე ....... 1:3
ანდერლეხტი-გენკი ....... 2:0
სტ.ტრუიდენი-ლეუვენი ....... 2:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

კლაგენფურტი-ალტახი ....... 2:0
ზალცბურგი-ვოლფსბერგერი ....... 2:0
შტურმი-რაპიდი ....... 2:2

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

დ.იუნაიტედი-რეინჯერსი ....... 1:1
სელტიკი-დანდი ....... 3:2

**თურქეთი. სუპერლიგა**

გაზიანთები-ადანა ....... 0:3
ალანია-ტრაბზონი ....... 0:4
ქარაგუმრუქი-სივასი ....... 1:0
ფენერბახჩე-ჰატაი ....... 2:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ლამია-აპოლონი ....... 1:2
ვოლოსი-ოლიმპიაკოსი ....... 0:1
აეკი-იანინა ....... 2:0
არისი-აპოკი ....... 0:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

სიონი-ციურიხი ....... 1:1
გრასჰოპერსი-იანგ ბოიზი ....... 2:2
სერვეტი-ლუცერნი ....... 1:1

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ბოლესლავი-ლიბერეცი ....... 3:3
ტეპლიცე-კარვინა ....... 1:0
სლავია-ბოჰემიანსი 1905 ....... 1:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ვარტა-რადომიაკი ....... 3:1
გურნიკი-ჩენსტოხოვა ....... 1:1
ლეხია-ლეხი ....... 1:0

**უნგრეთი. 1 დივიზიონი**

პუშ.აკადემია-დებრეცენი ....... 0:2
ფეჰერვარი-უიპეშტი ....... 1:2
უიპეშტის მე-2 გოლი ბუდუ ზივზივაძემ გაიტანა

**დანია. სუპერლიგა**

მიდტიულანდი-ოლბორგი ....... 0:2
სილკებორგი-ვაილე ....... 3:0
ნორდსიელანდი-ბრონდბიუ ....... 0:2
კოპენჰაგენი-ოდენსე ....... 2:0

# სუპერლიგის გუნდები ერთობლივ ტურნეს გამართავენ

გაგახსენებთ, რომ 12 კლუბს სუპერლიგის შექმნა სურდა, მაგრამ ბოლოს საქმე ისე მივიდა, რომ დამფუძნებლებიდან საქმეში მარტო ბარსელონა, რეალი და იუვენტუსი დარჩა.

ეს 3 კლუბი ზაფხულში, წინასასეზონო მზადების პერიოდში, ამხანაგური შეხვედრების ამერიკის შეერთებულ შტატებში გამართვას გეგმავს.

კლუბები პრესეზონის ტურნირზე მე-4 გუნდის, კერძოდ, მილანის მოწვევას აპირებენ და „როსონერის" ამ საკითხთან დაკავშირებით უკვე მიმართეს.

კლუბების მიზანი კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული ზარალის აღმოფხვრაა. ბარსა, რეალი და იუვე შეეცდებიან, მატჩებიდან შემოსავალი გაზარდონ.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

**სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი" ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.**

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა.

**მადლიერ პაციენთა რიცხვი ათასობითაა:**

**ლია თეთრაშვილი:** მქონდა მკერდის გამაგრება, მასტოპათია. ლამარა თოდუას მკურნალობით მთლიანად განვიკურნე.

**დათო ჭელიძე:** წლების განმავლობაში ვიტანჯებოდი ბუასილით. ყველას ვურჩევ, მიაკითხოს ლამარა თოდუას, ნამდვილად სასწაულს ახდენს მისი მალამო.

**ჟანა ამირანაშვილი:** ბავშვს საბავშო ბაღში გადაედო ტილები, შემდეგ მთელს ოჯახს გადაგვდო. ლამარა თოდუას მიერ დამზადებული ნაყენით ერთ პროცედურის შემდეგ სრულიად გავთავისუფლდით.

**ლილი კიზირია:** 83 წლის დედას წლები აწუხებდა ჰაიმორიტი, არც კი მჯეროდა, რომ მორჩებოდა, თოდუოების მალამოთი დედა დღეს თავს შესანიშნავად გრძნობს.

დღესასწაულების შემდეგ, ხშირად უჩივიან გულძმარვას (იჟოგას), ლამარა თოდუას გამწმენდი სითხეებით პრობლემა მოგეხსნებათ.

გაზაფხულზე ავიტამინოზი ხშირად თმის ბუდობრივი ცვენის მიზეზი ხდება. ლამარა თოდუა თავისი მალამოებით თმის ამოსვლის გარანტიას პირდება ყველა პაციენტს, ვინც მას მიაკითხავს.

ლამარა თოდუას მადლიერების წიგნი 5 ათასამდე მორჩენილი პაციენტის ჩანაწერებს ითვლის, სადაც ხშირად ამოიკითხავთ — „განვიკურნე სრულიად".

ლამარა თოდუა კვალიფიციური კოსმეტოლოგია და მის მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს. არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორციელებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. კავკასიის ალპურ ზონაში ბინადარი ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 2. დამარილებული ღორის ქონი; 3. ისტორიული სასტუმრო პარიზში; 5. სარეცხი მანქანის გამომგონებელი ამერიკელი მექანიკოსი; 6. იტალიის პრემიერ– მინისტრი; 7. კვიპროსის დედაქალაქი; 11. საფარიკაო სპორტული იარაღი; 13. უმაღლესი რანგის დიპლომატი; 14. ვაშლის ღვინო; 15. სვანური ხორცისგულიანი ორცხობილა; 16. ჩინური, ლოგიკური მაგიდის სათამაშო; 17. ფრანგი კინორეჟისორი; 19. გერმანული ავტომობილი; 20. თხუნელას მეორე სახელწოდება.

**თარაზულად:** 1. ცეკვის ძველი ქართული სახელწოდება; 4. თავადაზნაურთა მემკვიდრეობითი ტიტული ევროპაში; 8. ფუტკრის მიერ გამომუშავებული მოყვითალო ფერის ნივთიერება; 9. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 10. ინდოელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 12. უღელტეხილი კახეთში; 14. ზუთხისებრთა ოჯახის თევზი; 15. ქართული ტელეკომპანია; 16. დელაკრუას ცნობილი ფერწერული ტილო; 18. კოვბოების შეჯიბრი; 21. პერიოდული სხდომა პარლამენტში; 22. ტემპერატურის საზომი ერთეული; 23. მუნჯი კინოს ცნობილი კომიკოსი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. პასტიჩო; 2. ჰეინეკენი; 3. ფეთხაინი; 4. ბრავადა; 5. წიქარა; 9. სტიგმა; 11. სეინერი; 12. იაკუძა; 14. ქურხული; 18. აშარი; 19. ფოგტი.

**თარაზულად:** 4. ბორანი; 5. წერეთელი; 6. ჟესტი; 7. პალიტრა; 8. ანკესი; 10. ლხასა; 13. ჩაქურა; 15. კორიდა; 16. ნანა; 17. ცანა; 20. ხოხობი; 21. ჰაშიში; 22. კარტელი; 23. ტუბერი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ჭყვიში; 2. ნისლი; 3. ლოტი; 5. ჭორფლი; 6. კლოპი; 7. ანტალია; 11. მორიტა; 13. კრიზისი; 14. გორდა; 15. ქაშვეთი; 16. ხინკალი; 17. მიშელი; 19. იმედი; 20. გობი.

**თარაზულად:** 1. ჭინჭილა; 4. ჭენჭი; 8. ტანგო; 9. რენო; 10. ისლამი; 12. ფარღული; 14. გოია; 15. ქალამანი; 16. ხურმა; 18. ნავთი; 21. შონია; 22. ლომბერი; 23. დელფინი.

# სამგლოვიარო განცხადებები

გურამ კვიკვინია, ვალერი იოსავა, გულადი აბრამია, ავთანდილ საყვარელიძე, ნაპალეონ კვარაცხელია, მურმან ქუთელია და გურამ გარაყანიძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან ახლო მეგობრის

**მურმან გაბისონიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 — 12-დან 17 საათამდე**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


22 თებერვალი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი


აშშ დოლარი — 2.9769


ევრო — 3.3821


დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.0578


100 რუსული რუბლი — 3.8632

## ამინდის პროგნოზი 22 თებერვლისათვის




## რეალმა მბაპეს ულტიმატუმი წაუყენა



მადრიდის რეალმა კილიან მბაპეს ულტიმატუმი წაუყენა, რომლის მიხედვითაც, მბაპემ უნდა გადაწყვიტოს, გადადის თუ არა რეალში და თუ მან პსჟ-სთან ახალი კონტრაქტი გააფორმა, მაშინ სამეფო გუნდის კარები მისთვის სამუდამოდ დაიხურება. მბაპეს ჯერ გადაწყვეტილება არ მიუღია და სწორედ ეს აღიზიანებთ რეალში, თუმცა მადრიდელებს კვლავინდებურად სურთ, რომ მბაპე თავიანთ რიგებში იხილონ.

## ობამეიანგი: „ბედნიერი ვარ, რომ გუნდს დავეხმარე“




პიერ ამერიკ ობამეიანგმა ვალენსიასთან ორი გოლის გატანა შეძლო. ბუნებრივია, მატჩის შემდეგ მან კომენტარი გააკეთა და თქვა, რომ ის ძალიან ბედნიერია ამის გამო და მომავალშიც ეცდება, რომ ბარსელონას მაქსიმალურად დაეხმაროს:

— გოლები ჩემთვის ყოველთვის მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით ახალ გუნდში და ვიცი, რომ გულშემატკივარს ჩემი იმედი აქვს. შევეცდები, მას მოლოდინი არ გავუცრუო.

## რონალდუმ შესაძლოა მანჩესტერ იუნაიტედი დატოვოს




კრიშტიანო რონალდუ მანჩესტერ იუნაიტედში ბოლომდე ბედნიერი არ არის და ზაფხულში შესაძლოა მან გუნდი დატოვოს.

რონალდუს რამდენიმე ვარიანტი აქვს და ყველაზე რეალური ლისაბონის სპორტინგია, სადაც დაიწყო კიდეც მისი კარიერა.

სპორტინგს რეალური წინადადება აქვს რონალდუსთან და პორტუგალიელი ამ წინადადებაზე სერიოზულად ფიქრობს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ლატარიაზე იმედგაცრუებულმა მამაკაცმა მსხვილი თანხა მოიგო



აშშ-ში მამაკაცმა 30 ათასი დოლარი მოიგო მაშინვე, როგორც კი საყვარელ ლატარიაზე გული აუცრუვდა და სხვა ლატარიის ბილეთი იყიდა.

მსხვილი მოგების მფლობელმა, ჩრდილოეთ კაროლინას შტატის მკვიდრმა განაცხადა, რომ რამდენიმე წელი ლატარია Pick 3-ის გათამაშების ერთგული მოთამაშე იყო. ის რეგულარულად ყიდულობდა ბილეთებს და ყურადღებით ადევნებდა თვალს მის ყველა გათამაშებას. თუმცა ახლახან მას საბოლოოდ აუცრუვდა გული მასზე, ვინაიდან ერთხელაც კი ვერ მოიგო სოლიდური თანხა.

მაღაზიაში მორიგი ვიზიტის დროს, მამაკაცმა ტრადიციას უღალატა და Pick 3-ის ბილეთის მაგივრად Lucky No, 7 Doubler scratch-off-ის ბილეთი იყიდა. მასზე დამცავი ფენის გადაფხეკის შემდეგ მიხვდა, რომ მისმა მოგებამ 30 ათასი დოლარი შეადგინა.

გახარებულმა ამერიკელმა განაცხადა, რომ ის მოგებული თანხის დახარჯვას არ აპირებს და მას „შავი დღისთვის“ გადადებს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი

•••

ახალბედა ძველ მეღვინეს ეკითხება:

— როგორი უნდა იყო მარანი, რომ იქ კარგი ღვინო დადგეს?

— საიმედოდ უნდა იკეტებოდეს!

•••

სუპერმარკეტში გამყიდველი გოგონა მამაკაცს ეკითხება:

— შემიძლია რაიმეთი დაგეხმაროთ?

— დიახ, სარვამარტო საჩუქარი მინდა შევარჩიო!

— რაიმე ძალიან ძვირფასი გსურთ, სწორად გაგიგეთ?

— ასე რატომ იფიქრეთ?

— თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ დღეს 27 მარტია...

•••

ქათამმა 5-კილოგრამიანი კვერცხი დადო, ყოველი მხრიდან მოცვივდნენ რეპორტიორები და ეკითხებიან:

— ეს როგორ მოახერხეთ?

— საიდუმლოა.

— და როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?

— 7-კილოგრამიანი კვერცხი დავდო.

რეპორტიორები მამალს მიადგნენ და ეკითხებიან:

— ეს როგორ მოახერხეთ?

— საიდუმლოა!

— და როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?

— თავ-პირი მივუნგრიო სირაქლემას!

•••

ერთი დაქალი მეორეს ეკითხება:

— ქმართან ისევ იჩხუბე?

— ჰო, ის ნაძირალა! მთელი სადარბაზოს წინაშე შემარცხვინა!

— რა მოხდა?

— სანამ დედასთან ვიყავი სტუმრად, სახლში მეორე სადარბაზოდან ლამარა მოჰყავდა...

— მერე?

— რა მერე, სახლი დაულაგებელი მქონდა...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## მურმან ჯინორია 75 წლისაა



რუსთაველის თეატრის მსახიობი მურმან ჯინორია იუბილარია. მას 75 წელი შეუსრულდა.

თეატრისა და კინოს ვარსკვლავის მთელი ცხოვრება ქართულ კულტურას ეძღვნება. მისი როლი გიორგი კახაბრიშვილის ტელე სპექტაკლში „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ მაყურებელმა გამორჩეულად შეიყვარა. მურმან ჯინორიამ ჯერ ტექნიკური უნივერსიტეტი დაამთავრა, შემდეგ კი თეატრალურ ინსტიტუტში ჩააბარა. ათეული წლებია, რუსთაველის თეატრის მსახიობია, მანამდე კინომსახიობთა თეატრში მოღვაწეობდა. იუბილარი მსახიობი მხატვრული კითხვის დიდოსტატია და მომავალ თაობებს თავის ცოდნას სიამოვნებით უზიარებს. მან ვერიკო ანჯაფარიძის ერთი მსახიობის თეატრში არაერთი მონოსპექტაკლი დადგა.

რუსთაველის თეატრში ამჟამადაც არის რეპერტუარში მისი მონოსპექტაკლი „ქარი მწყურია მე პირდაპირი“, რომელიც ცნობილი ქართველი პოეტების ლექსებს აერთიანებს.

მსახიობს წლების განმავლობაში უამრავ ცნობილ მსახიობთან, რეჟისორთან, კომპოზიტორთან მოუწია თანამშრომლობა. მურმან ჯინორიასთვის ყველაზე დიდი საჩუქარი ქართველი მაყურებლის უდიდესი სიყვარულია, რომელსაც ყველგან და ყოველთვის გრძნობს.

## შოთა იათაშვილის ლექსები ბულგარულად ითარგმნა



ქართველი პოეტის შოთა იათაშვილის ლექსები ბულგარულად ითარგმნა.

— ჩემი ლექსები ბულგარულად ნათარგმნია პოეზიის ფესტივალისთვის, რომელიც 11-14 მაისს გაიმართება.

დიდი მადლობა ჩემს მეგობარს ანტონ ბაევს. მჯერა, ნამდვილი ფესტივალების ძველი კარგი დრო დაბრუნდება!

## ვანიკო გალუაშვილი: „პრემიერის ბრძანება რომ არ სრულდება, ვის მოვთხოვოთ პასუხი?“



ოპერის მომღერალი ვანიკო გალუაშვილი შესაბამისი უწყებებისგან საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანების შესრულებას მოითხოვს:

— კითხვა მაქვს ყველასთან, განსაკუთრებით თეატრალებთან, არტისტებთან მომღერლებთან, მუსიკოსებთან და კულტურის სამინისტროსთან — ოპერის თეატრი და სხვა სახელმწიფო თეატრები არ ვითვლებით სახელმწიფო დაწესებულებად? მუსიკალური სასწავლებლები, ორკესტრები, ადამიანები, ვინც კატასტროფულ ხელფასზე ემსახურებიან სახელმწიფოს, სად ითვლება ეს ხალხი?

პრემიერის ბრძანება რომ არ სრულდება, ვის მოვთხოვოთ პასუხი? ისევ იმ 10%-იან მომატებაზე მაქვს აქცენტი, ზოგისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის არის თუნდაც ის 10% მომატება ხელფასის, როცა ყველაფერი კატასტროფულად გაძვირდა და კატასტროფული გადასახდელები მიდის ხალხთან.

კოშმარია უკვე ეს დამოკიდებულება!

## ნუცა შანშიაშვილი ჟურნალისტებს აფრთხილებს



მომღერალი ნუცა შანშიაშვილი ჟურნალისტებს აფრთხილებს, რომ აღარ მიმართონ მას ემიგრაციის თემაზე:

— მივმართავ ჟურნალისტებს, ბლოგერებს, ტელე-რადიო წამყვანებს — თუ შეიძლება გთხოვთ, ნუღარ შემაწუხებთ ემიგრაციის თემით.

მე ვცხოვრობ სამ ქალაქში, თბილისი, მოსკოვი, ნიუ იორკი. გარკვეული ცხოვრების ეტაპებზე, მიწევს ყოფნა ხან ერთ ქალაქში, ხან — მეორეში, გასტროლებს აღარ ვეხები.

ამიტომ თავს ემიგრანტად ვერანაირად ვერ ვთვლი, თუმცაღა ქედს ვიხრი ყველა იმ ქართველის მიმართ, ვინც პატრიოტული სულისკვეთებით ასახელებს ჩვენს საქართველოს ემიგრაციაში!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## პატარძალმა უალკოჰოლო ქორწილზე უარი თქვა და გადადო



საქმრომ საპატარძლოს შესთავაზა, რომ თავისი დის გამო ქორწილი ალკოჰოლური სასმელების გარეშე ეზეიმათ, ამის შემდეგ ქალმა ქორწილი გადადო.

ქალის მტკიცებით, საქმროს და ალკოჰოლდამოკიდებულებაზე მკურნალობს. ის დიდხანს უარს აცხადებდა ნათესავების დახმარებაზე, მაგრამ ბოლო დროს მისი მდგომარეობა გაუარესდა და ამიტომ, ბოლო ექვსი თვეა, ის მკურნალობის კურსს გადის და არ იღებს სპირტიან სასმელებს. საქმრომ ჩათვალა, რომ ქორწილში ალკოჰოლიანი სასმელები მისი დისთვის მეტისმეტად დიდი საცდუნებელი იქნებოდა და ამიტომ მომავალ მეუღლეს შესთავაზა, ქორწილში უარი ეთქვათ ალკოჰოლიან სასმელებზე. საპატარძლოს აღიარებით, ის ამ შეთავაზებამ გააბრაზა, ვინაიდან მიიჩნევს, რომ მისი რჩეულის მთელი ოჯახი მისი დის ყველა სურვილს ასრულებს. მისი თქმით, ერთხელ მათ მისი გულისთვის გირაოს სახით 500 ათასი დოლარი გადაიხადეს მისი ციხიდან გამოსაშვებად და შემდეგ ახალი ავტომობილი უყიდეს. ამ ყოველივეს გამო, ქალმა ქორწილის თარიღი დროებით გადადო და სურს, საბოლოოდ გაერკვეს, ისევ მოუწევს თუ არა მის საქმროს არჩევანის გაკეთება მასა და საკუთარ დას შორის, ამ უკანასკნელის სასარგებლოდ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 22 თებერვლისათვის



**ვერძი** — ეს დღე საინტერესო ნაცნობობას გიქადით. იზრუნეთ საკუთარი პროფესიონალიზმის სრულყოფაზე. **კურო** — ბედი გწყალობთ. გარშემომყოფებთან ჰარმონიული ურთიერთობა გაქვთ. ერიდეთ ფიზიკურ დატვირთვას. **ტყუპები** — მატერიალურ მდგომარეობას არ უჩივით. შესაძლოა, ხელსაყრელი შემოთავაზებაც მიიღოთ. ნუ დაწვრილმანდებით. **კირჩხიბი** — თავს მხნედ გრძნობთ. განეწყვეთ ოპტიმისტურად. კამათში ნუ ჩაერთვებით. **ლომი** — შესაფერისი დღეა საქმიანი კონტაქტებისათვის, საყოფაცხოვრებო პრობლემების მოსაგვარებლად. ძველ მეგობარს აუცილებლად შეეხმიანეთ. **ქალწული** — ვარსკვლავები გმფარველობენ. ახალი საქმე თამამად დაიწყეთ. ჰარმონიული და მშვიდი დღეა. **სასწორი** — იმედიანად ხართ. ბედი არ გიმტყუნებთ. კარგი იქნება ფიზიკური დატვირთვა, ფეხით სეირნობა. **ღრიანკალი** — დაძაბული პოლიტიკური მდგომარეობა თქვენს ფსიქიკაზეც მოახდენს გავლენას. ბედს მიენდეთ. ვერაფერს შეცვლით. **მშვილდოსანი** — თქვენი მომხიბვლელობის წყალობით მრავალი ადამიანის გულს მოინადირებთ. პირად ცხოვრებაში მოულოდნელი ცვლილებები მოხდება. **თხის რქა** — კეთილისმყოფელი პერიოდი გიდგათ. ახალი ინფორმაციის გამო, შესაძლოა, გეგმები შეგეცვალოთ. **მერწყული** — გიმახვილდებათ ინტუიცია. შეგიძლიათ, სამომავლო გეგმები თამამად დასახოთ. არ მოტყუვდებით. **თევზები** — სასიცოცხლო ენერგია გემატებათ. საკუთარი ძალების იმედი იქონიეთ. გაუფრთხილდით ოჯახურ ურთიერთობებს.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. სპირტიანი სასმელების მწარმოებელი, უმსხვილესი ამერიკული ფირმა; 2. აეროპორტი კიევში; 3. ეგრისის სამთავროს დედაქალაქი; 4. ერთმანეთში შეგროვებული ფულით ქეიფი ძველ თბილისში; 5. ბრაზილიური არაყი; 9. ისრაელის დაზვერვა; 11. ხეხილის ბაღი; 12. პატარა კაფე გერმანიაში; 14. კუთხე საქართველოში; 18. დადებითად დამუხტული ელექტროდი; 19. ძვირფასი სარეწაო თევზი.

**თარაზულად:** 4. ბალნეოლოგიური კურორტი კახეთში; 5. უწახნაგოდ, მრგვლად დამუშავებული ძვირფასი ქვა; 6. ლუთერანული ეკლესია; 7. ხელოვნური წყალსაცავი დუშეთის რაიონში; 8. მათემატიკური ორწევრი; 10. ვირტუოზი ქართველი ფეხბურთელი; 13. უბანი თბილისში; 15. ძალიან სწრაფი მუსიკალური ტემპი; 16. ალიასკის ადმინისტრაციული ცენტრი; 17. საბჭოთა მსუბუქი ავტომობილი; 20. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 21. პარაზიტი სოკოებით გამოწვეული ადამიანის დაავადება; 22. ეგეოსის ზღვისპირა კურორტი თურქეთში; 23. დიდი ქრისტიანული დღესასწაული.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*